



# ՈՅՈՒԹՅԱՆ ԾԱՀԱՅՈԼՅՈՒ

Ղ Կ Տ Տ Տ

1787



## ମନ୍ଦିରମଧ୍ୟ ଅଳକଣ୍ଡ

ଓ ଘେ ପଥ୍ର ନା ହ.


ତ ତାଶ ହ, ତାଗରୀଲିଲି ମେଘ୍ୟ.

ତାର୍ଯ୍ୟ ଶ ତ ହ.

କ ତ ଲା ଡ ହ.

କର୍ମକାର ହ.

ମିର୍ଜମେହେବିଲି ଅଫଗିଲି: କାଲା ଫିଲାନାଲ ରୂପରିଲି ଖିନ.



## პირველი მოქმედება

### პირველი გამოსვლა

იფიგენია (მარტო)

ისევ ოქვენს ჩრდილში, მოშრიალე ფოთლებო ხეთა,  
რომ გადმოჰყურებთ იმ ძველ, წმინდა, დაბურულ ჭალას,  
როგორც ტაძარში ქალღერთისა, მოვდივარ დლესაც  
ალელვაბული, მოცახცახე, მთრთოლარე გულით,  
კით შეშინ, როცა აქ პირველად შემოვდგი ფეხი,  
ამ ვერძნობ, ამ ადგილს ჩემი სული ვერ შესჩევია.  
მიღი ხანია, რაც აქ მფარავს მალალი ზეცის  
უჩემდე ნება, რომელსაც მთლად მივანდე თავი,  
შეგრიმ უცხო ვარ მე აქ ისევ, ვით პირველ წელსა.  
ეს! ზღვა მაშორებს ჩემს ძვირფასებს. მათლობლებს ჩემსას,  
შეღლი დლები ვდგევარ ხოლმე მის ნაპირებთან,  
ძვირფას საბერძნეთს ეძებს შარად ტანჯული სული,  
შეგრიმ ჩემს თხვრის ყრუ გუგუნით შორეულ ხმების  
ხედებიან ოდენ ბობოქარი ტალღები ზღვისა.  
ესი მის, ვისაც მარტოდ ყოფნა რგებია ხვედრად,  
შშობლებისაგან, და-ძმებისგან მთლად მოცილებულს!  
ბედნიერებით გამოწვეულ საამო ლიმილს  
მის ჩაგეთავაგან მშუხარება გაპუნტავს ხოლმე.  
შორის გაიტაცებს მას ყოველთვის ოცნება თვისია:  
შშობლიურ პერქვეშ, მამა-პაპის კარმიდამოში,

სადაც პირველად იხილა მან მნათობი ცისა,  
სადაც და-ძმებთან თამაშობდა და სისხლით თვისტომთ.  
დაუმეგობრდა, შეეთვისა სულით და გულით.  
ღმერთებთან დავის ვერ დავიწყებ, მაგრამ საბრალო,  
საკოდავია ქალთა ხელრი ამ ქვეყანაზე.

ქმარი ბატონობს ოჯახში და მბრძანებლობს ომში,  
უცხო ქვეყნადაც იცის, როგორ უშველოს თავსა.  
ნაალაფევი, ნაშოგარი ახარებს მის გულს,  
მას გამარჯვება გვირგვინს ადგამს, პატივს სდებს დიდად,  
სახელოვანი სიკვდილი კი დიდებით მოსავს.  
არტახებშია მოქცეული დიაცის ხელრი!  
პირქუშ ქმრისადმი მორჩილება, უდრტვინებელობა  
მას მიაჩნია თავის წმინდა მოვალეობად.

რა უბედური არის, როცა მზადვარი ბედი  
შორს, უცხოეთში, გადასტუროცნის შეუბრალებლად!  
შეც თოასს ვყევარ შებორკილი, კაცს კეთილშობილს,  
წმინდაა, მაგრამ მძიმე არის ეს ბორკილები.  
რარიგ მრცვენია გამოგიტყდე, რომ ჩუმი დრტვინებით  
გემისახურები შენ, ქალმერაა, მუარკელო ჩემო!  
მე ხომ ალგითქვი, ხომ შეგვირდი ჩემივე ნებით,  
რომ შენოვის მსხვერპლად შემეწირა სიცოცხლე ჩემი.  
გით ჭინათ, იხლაც მხოლოდ შენებ ვამყარებ იმედს,  
მკაცრო დიანა, მხურვალედ რომ მიმიკარ მკერდზე  
და მომიჩიცი შენს უმანკო და ნაზ მელავებში  
ასე დევნალი, განკიცხული ასული მეუის.  
ზექსის ასულო, თუ რდესლაც განსაცდელისგან  
შენ დაიხსნი დიდებული ადამიანი,  
თუკი დიდებულ აგამემნონს, ღმერთთა თანატოლს,  
შენს საკურთხეველს ვინც შესწირა ასული თვისი,  
შენი მოთხოვნის, შენი ნების აღსასრულებლად,  
ტროას დანგრეულ ედლებიდან თავის სამშობლოს,  
თავის სახლ-ქარს რომ დაუბრენდა სახელგანთქმული,  
შენ დაახვედრე, გით საუნჯე უძვირფასესი,  
ძე სანუკერი, ელექტრა და მეუღლე თვისი,—  
შეც დამაბრუნე სამშობლოში, ჩემიანებთან  
და, ვით მიხსენი სიკვდილისგან, დამიხსენ ახლაც  
ძე ცხოვრებისგან, ამ მეორე სიკვდილისაგან!

## მორჩი გამოსვლა

იფიგენია. არკადი.

### არკადი

ხელმწიფებ იქეთ წარმომგზავნა, რათა გადმოგცე  
ფიინის ქურუმს მოკითხვა და სალამი მისი.  
დღეს მადლსა სწირავს თავის ქალღმერთს მთელი თავრიდი  
ის სხოცარი, ამ ახალი გამარჯვებისთვის.  
მოდი, ვეჩარდი, გამოვასწარ შეფეს და ლაშქარს,  
როთა ვაუწყო ყველას მათი მოახლოება.

### იფიგენია

ჩენ მხად ვართ, შევხვდეთ ლირსეულად მეფეს და ლაშქარს;  
ჩენი ქალღმერთიც სასურველ მსხვერპლს, თოასის ხელით  
მისითვის შეწირულს, გადმოხედავს მოწყალე თვალით.

### არკადი

ო, მრთხელ მაინც ვიხილავდე ქურუმის მზერას,  
უბრივ ღირსეულს, თაყვანის ღირსს, წმინდა ქალწულო,  
მაგ მხერას, ნათლით გაშუქებულს, გასხიეოსნებულს,  
ჩენითვის კეთილის მაუწყებლად! მაგრამ საესეა  
გამოიყენობი მწუხარებით აწ შენი სული;  
და ჩენ მაროდ ველოდებით მრავალი წელი  
მაგ მიმდინობი მოვისმინოთ სარწმუნო სიტყვა.  
მას უმდგა, რაც ამ ქვეყანაში გიხილე თვალით,  
უწოდეთ იგ მხერა თრთოლასა მგვრის, მაწამებს მუდამ.  
მიჯაჭეულია შენი სული რკინის ჯაჭვებით  
შეხედ გულის ღრმა უფსკრულზე, ღუმილით სავსე.

### იფიგენია

ასე შესურის ქვეყნად დევნილს და დაობლებულს.

### არკადი

ნერუ დეკნილი და ობოლი გვონია თავი?

## იფიგენია

განა გაგვიწევს უცხოეთი სამშობლობას?

### არკადი

შენ უცხოეთად გადაგექცა სამშობლო შენი.

## იფიგენია

სწორედ მაგიტომ ჩემი გული იცლება სისხლით.  
ყრმობის დღიდანვე, როცა სული ძლივს შეეჩება  
მამას და დედას, ძვირფას და-ძმას, თავისიანებს,  
და უძელესი ლეროების მძლე ფესვებიდან  
ავიმართებით ზეცისაკენ ყლორტები ნორჩი,  
ერთურთში ლხენით, მეგობრულად გადახლართულნი,  
ეჭ., სწორედ მაშინ თავს დამატუდა სასტიკი წყვილა,  
ჩამომაცილა ჩემს საყვარელ ადამიანებს  
და რკინის მუშტით დაარღვია კავშირი გულთა.  
ახალგაზრდობის სიხარული გაფრინდა შორად,  
თან გაჰყეა წრფელი ნეტარებაც პირველი წლების,  
თუმცა გადაერჩი, ჩემი თავის ჩრდილი ვარ მხოლოდ,  
წირვიდა, გაჰქრა სიხარული, სწრაფვა სულისა,  
არ აყვალება აწ ყვავილი სიცოცხლის ჩემის.

### არკადი

რაკი უწოდებ შენს თავს ასე უბედურს დიდად,  
მაშინ მე მართლა უბედური გიწოდო უნდა.

## იფიგენია

მადლიერი ვარ თქვენი მუდამ.

### არკადი

არა, როდია

მაგვარი გრძნობა ჰეშმარიტი მადლიერება,  
რომლის გულისთვის იღწვის ხოლმე ქველმოქმედება;

ნოთელ შეტაში იხატება ადამიანის

ქმაყოფილება და გულწრფელი მადლიერება.  
როცა განგების იღუმალმა, სასტიკმა ნებამ  
შჩიებით წლის წინ ამ ტაძარში გადმოგისროლა,  
თოსი შეგხვდა, ვითაარცა მოციქულს ზეცის,  
შეტად გულწრფელი სიხარულით და მოწიწებით  
და ეს ნაბირი თავშესაფრად გადიქცა შენოვის,  
წიფენ სახარი, დამლუკველი უცხოელთაოვის,  
ჩადგან. შენამდე ვინც დაადგა ჩეენს მიწას ფეხი,  
ამ ქავენის ძევლი ჩეულების მიხედვით, ყველა  
წინდა დიანას საკურთხეველს შესწირეს მსხვერპლად.

## იფიგენია

განა სიცოცხლე მარტოოდენ სუნთქვასა ნიშნავს?  
ინა, ეს რაღა სიცოცხლეა, როს ამ ტაძარში  
წნევა ლანდივით დავტიროდე საკუთარ საფლავს?  
ამ ეკი ვეწოდო ამ ცხოვრებას საამო, კარგი,  
თუ ყოველი დღე, ოცნებაში გატარებული,  
მე ჩანმიშვადებს იმ მწუხარე, სევდიან დღეებს,  
ჩომელთაც ლეთის ნაპირებზე თავდავიწყებით  
ეძლევა ხოლმე განსვენებულ სულების გუნდი?  
უფრი სიცოცხლე ნაადრევი სიკვდილი არის:  
უკულო უწინარეს, მე მრგებია ეს მწარე ხედრი.

### არკადი

უცინდობ მე მაგ სიამაყეს კეთილშობილურს —  
თეკოთონევი არ ხარ კმაყოფილი შენივე თავის,  
თუმც მეტისმეტად მეცოდები, რადგანაც იგი  
წარმტაცებს სულ მთლად ამჯეყნურ სიამოვნებას.  
წუთუ, ქალწულო, იმ დროიდან, რაც შენ აქა ხარ,  
ჩუნთეის ნამდვილად არაფერი მოიმოქმედე?  
ეის განუქარვა ჩეენს ხელმწიფეს მწუხარე ფიქრი?  
ეის უქნებელქყო წლიდან წლამდე მშეგიდობიანი,  
უკულო უწყინარ შეგონებათ ადათი ძევლი,  
რომლის ძალითაც უცხო მხრიდან მოსული ყველა  
ფინის წმინდა საკურთხეველს ეწირებოდა?  
ეის იხსნა ტყვენი უმჭველი სიკვდილისაგან

და, არც თუ ისე იშვიათად, ვისი შეწევნით  
უბრუნდებოდნენ კვლავ თავიანთ სამშობლოს ხოლმე?  
განა დიანამ, ნაცვლად მეტრი განრისხებისა,  
რადგან შენ იმას სისხლიანი მოუსპე მსხვერპლი,  
არ შეისმინა უწყინარი ველრება შენი?  
განა აწ უფრო წინ არ მიჰქრის ჩვენი ლაშქარი,  
მუდამ დიდებით, გამარჯვებით გარემოსილი?  
აწ ყველა კაცი კმაყოფილი არ არის ბედით  
იმის შეძლებ, რაც ჩვენი მეფე, ვინც ასე ბრძნულად,  
ასე გულადად წინ მიგვიძლვის ამდენი ხანი,  
შენი წყალმით გულკეთილი, მოწყალე გახდა,  
რითაც მონური მორჩილების ვალს გვიმსუბუქებს?  
ნუთუ უწოდებ უსარგებლოს ყველაფერ ამას,  
როს ტკბილ ბალზამად ეპურები ათასთა გულებს,  
როს ხალხს ზეცისგან მოვლენიხარ დაუშრეტ წყაროდ  
განახლებული სიკეთის და ბედნიერების,  
როს ამ პურადგირ, ამ საშინელ ნაპირზე მოსულ  
უცხო ქვეყნის შვილთ, განწირულებს სიკვდილის მსხვერპლად,  
შენ განუმზადებ გადარჩენას, შინ დაბრუნებას?

### იფიგენია

იგი, ვინც ხედავს წინ უფრო ბევრ გასაკეთებელს,  
როდი მიიჩნევს მცირეოდენს დამსახურებად.

### არკადი

მაგრამ ვით ვაქოთ, თავის საქმეს ვინც არ აფასებს?

### იფიგენია

გასაკიცხია, ვინც ზედმეტად აფასებს იმას!

### არკადი

იგიც, ამაყად ვინც დაპურებს ნაძღვილ ლირსებას,  
ვით ის, რომელიც ყალბ ლირსებას გაუტაცია.  
მენდე, უსმინე ადამიანს, მეგობარს შენსას,  
ნამდვილს, ჭრმარიტს; დღეს, როდესაც ჩვენი ხელმწიფე  
შენთან ლაპარაკს წამოიწყებს, შეუმსუბუქე  
მდგომარეობა, გითხრას იგი, რის თქმასაც ფიქრობს.

იფიგენია  
ქოთილი სიტყვით მარტოდენ შიშს მიძლიერებს;  
ო, რარიგ ხშირად გავურბოდი მის აღსარებას!

### არკადი

კირგად დაფიქრდი, სასარგებლო თუ რაა შენთვის!  
მის აქეთ, რაც ჩვენს კეთილ მეფეს მოუკვდა შვილი,  
შარტო ზოგიერთ თავისიანს ეპყრობა ნდობით,  
თუმც ადრინდულად იმათაც არ ენდობა დიდად.  
შურით შეცექერის ძეს ყოველი დიდებულისას,  
ყოველ მათგანში იგი ტახტის მემკვიდრეს ხედავს;  
შოთუცობის ეამს უძეობა აშინებს ძლიერ,  
იქნება ჯანყი და უდროო სიკვდილიც აფრთხობს.  
ხომ იცი, სკვითი საუბრით თავს ვერ გამოიჩინს,  
და მით უმეტეს ჩვენი მეფე—მიჩვეულია  
იგი ბრძანებას, მოქმედებას, საქმიანობას,  
ხოლო საუბრის ხელოვნების არა ესმის რა.  
არ იცის, როგორ წამოიწყოს მან იგი შორით  
და ცბიერი გზით მიზანს როგორ მიუახლოოს.  
ნუ გაუძნელებ ორჭოთული უარით საქმეს,  
ნუ მოაჩვენებ, თითქოს ნათევამს ვერც კი მიუხედი,  
ხელი შეუწყვე, ათქმევინე თავისი აზრი.

### იფიგენია

და მე თვითონვე დავაჩქარო, რაც ასე მზარავს?

### არკადი

ნუთუ საზარელს უწოდებ შენ ხელმწიფის სურვილს?

იფიგენია  
დიახ, ის ჩემთვის საზარელზე საზარელია.

### არკადი

შენ მხოლოდ ნდობით უპასუხე ხელმწიფის გრძნობას.

### იფიგენია

ოლონდ ჯერ იხსნას შიშისაგან მან ჩემი სული.

### არკადი

რატომ უმალავ ჩვენს მბრძანებელს შენს წარმოშობას?

### იფიგენია

ქურუმს შეჭრერის საიდუმლოს არგაშილება.

### არკადი

მეუეს არასდროს საიდუმლოს არ უმალავენ.  
და თუ ახლავე მის გამზელას არ ითხოვს შენგან,  
ნათლად, აშეარად გრძნობს ხელმწიფის დიადი სული,  
რომ მის წინაშე საიდუმლოს ბეჯითად ჰუცარავ.

### იფიგენია

განრისხებული, ნაწყენი ხომ არ არის ჩემზე?

### არკადი

დიახ, ეტყობა. თუმც ის შენხე არაფერს ამბობს,  
მაგრამ შემთხვევით ჭამოსროლილ სიტყვებზე ვამჩნევ,  
რომ მეუე მტკიცედ შეუჰყურია ერთადერთ სურვილს,  
შეიქნეს შენი გულისა და ხელის მფლობელი.  
ო, ნუ დასტოვებ უპასუხოდ მის ჭამინდა გრძნობას,  
ნუ მოამზადებ განრისხებას ხელმწიფის გულში,  
არ გიხადო სანანგბლად, რომ თავის დროზე  
ჩემს გულწრფელ რჩევას არ უსმინე, დაუხშე ყური.

### იფიგენია

როგორ? ხელმწიფე ფიქრობს იმას, რაც არ შეჭრერის  
ქოთილშობილ კაცს, ვისაც უყვარს სახელი თვისი,  
ვის გულშიც ღვივის მოკრძალება ღვთაებისადმი?  
ნუთუ სურს მეფეს, რომ ქალლმერთის საკურთხევლიდან  
სარეცელისქენ წამიყვანოს ძალდატანებით?  
მაშინ მოვუხმობ უკვდავ ღმერთებს და, უწინარეს,  
წმინდა დაინას, სასტიკ ქალლმერთს, დასახმარებლად.  
აუცილებლად დამიფარავს, ვით თავის ქურუმს,  
და ხელს საშეელად გამომიწვდის ქალწული ქალწულს.

### არკადი

წუ ილელდები! ჩვენს მბრძანებელს ახალგაზრდული  
სისხლის სიფიცხე ვერ შეიძყრობს, ვერ გაიტაცებს,  
რომ ჩაიდინოს ეგ ბავშვური დანაშაული.  
შეგრიმ სულ სხვა რამ მაშინებს მე, სასტიკ განაჩენს  
მოყვანის იგი სისრულეში დაუყოვნებლივ,  
ჩადგან მტკიცეა სული მისი შეურყეველი.  
მიმომ გთხოვ მე, ნდობით მაინც მოეპყარ მეფეს,  
რაյო არ ძალგიძს უკეთესი მიუძღვნა ჯილდო!

### იფიგენია

მითხარ, მაუწყე, რალა იცი შენ ამის მეტი?

### არკადი

თეითონ მას ჰყითხე. აგერ, მეფეც აქეთკენ მოდის.  
შენ მას პატივს სცემ, შთაგაგონოს თვით შენმა გულმა,  
რომ შეხედე თოასს მეგობრულად, გულწრფელი ნდობით.  
კეთილშობილ კაცს ქალის ნაზი, საამო სიტყვა  
შორს გაიტაცებს მეტისმეტად. (გადის)

### იფიგენია (მარტო)

თუმცა არ ვიცი,  
ეით შევასრულო, როგორ მივყე ამ გულწრფელ რჩევას,  
შეგრიმ ვალს ჩემსას აღვასრულებ სიამოვნებით,  
რომ მისგან ჩემზე გაწეული მოწყალებისთვის  
ხელმწიფეს შეხევდე ალერსიან, კეთილი სიტყვით,  
წეტივ შევიძლო, რომ გულითაც ვასიამოვნო  
და თან სიმართლე მოვახსენო მბრძანებელს ჩემსას.

### გასავავ გაშოცლა

იფიგენია. თოასი.

### იფიგენია

შეფური ჯილდო მოგიცლინოს წმინდა ქალლმერთმა,  
მას მიანიჭოს გამარჯვება, სახელოვნება,  
კეთილდღეობა და სიმდიდრე ყველა შენიანს,

შენ კი, პირადად, აღსრულება კეთილ ნატვრათა.

რადგან მსრუნველად მბრძანებლობდი მრავალ ქვეშევრდომს,  
დე იმ მრავალთა სიკეთე და კეთილდღეობა,  
ვირ შეედაროს შენს იშვიათ ბედნიერებას.

### თოასი

მე კმიაყოფილი ვიქწებოდი ხალხის ქებითაც,  
რაც მოვიხვეჭუ, სხვები უფრო ტკბებიან იმით,  
ვიდრე თვითონ მე, და ყველაზე ბედნიერი კი,—  
გინდ მეუე იყოს, გინდ უბრალო ადამიანი, —  
მხოლოდ ის არის ქვეყანაზე, ვინაც საკუთარ,  
თავის ოჯახში მიაღწია ბედნიერებას.

მახსოვს, შენ ჩემს ღრმა მწუხარებას იზიარებდი,  
როს მტრის მახვილმა გამომტაცა უკანასკნელი,  
ტკბილი ნუგეში, ღირსეული, ძვირფასი შეილი.  
ვიდრე ღელავდა ჩემი სული შურისძიებით,  
უკაცრიელი არ მიმაჩნდა სასახლე ჩემი,  
ახლა კი, როცა შინ დავბრუნდი გამარჯვებული,  
მათი სამეფო დავანგრიე, ვიძიე შური,  
აღარავერი არ მახარებს ჩემს სასახლეში.

ის სასურველი მორჩილება, რომელსაც წინათ  
ჩემი ყოველი ქვეშევრდომის თვალში ეხედავდი,  
აშ დათრგუნულა წუხილით და გულნაკლულობით.  
ყოველი ფიქრობს მომავალზე შიშით და სევდით  
და მე, უშვილოს, უგულოდა მემსახურება.  
დღეს მე მოვედი ამ ტაძარში, სადაც მრავალჯერ  
შევთხოვდი ქალღმერთს გამარჯვებას და მსხვერპლს ვწირავდი  
ზრერზე ძლევისთვის. გულით მომაქვს სურვილი ძველი,  
არც ისე უცხო, შენთვის ერთობ მოულოდნელი!  
ჩემი ხალხისა და ჩემივე საკეთილდღეოდ  
მსურს სასახლეში წარგადგინო, როგორც საცოლე.

### იფიგენიი

დიდ პატივსა სდებ, მბრძანებელო, უცნობ ქალს მაგით,  
ქვეყნად დევნილი დარცხვენილი დგას შენს წინაშე,  
მხოლოდ სიმშეიდეს, თავშესაფარს ეძებდა იგი  
ამ ზღვის ნაპირზე და ორივე მან შენთან ჰპოვა.

### თოასი

სულ ერთი არის, გიცხოვრია თუ რომელ ხალხში,  
ქირგი როდია, რომ მეფესაც, ვით უკანასკნელ  
ამ ქვეყნის მცხოვრებს, არ უმელავნებ შენს წარმოშობას.  
აქ მოსულთაოვის საშიშია ნაპირი ჩვენი:

ასე გვიბრძანებს კანონი და საჭიროება.  
მაგრამ მე მისგან, ვინც აქ ტკბება სტუმართმოყვრობის  
წმინდა უფლებით, ვინც მივიღეთ სულით და გულით,  
თავის ნებაზე ვინცა ცხოვრობს, აღსავსე შვებით,  
დის, მე მისგან მოველოდი სიყვარულს, ნდობას  
ჩემი ეგრეთი ერთგულების სამაგიეროდ.

### იფიგენიი

ჩემი მშობლების ვინაობას, გვარსა და ოჯახს  
ამ გიმელავნებდი მარტოოდენ სიფრთხილის გამო  
და ნუ ჩამითვლი უნდობლობად, ხელმწიფევ. ამას.  
ო, რომ იცოდე, თუ ვინა დგას, აქ, შენს წინაშე,  
ჩირიგ უბედურ დამიანს მფარველობ ასე,  
ოთხთოლდებოდა წამსვე შენი დიადი სული  
და დედოფლობას მაშინ აღარ შემთავაზებდი.  
დაუყოვნებლივ გამდევნიდი შენი ქვეყნიდან,  
ვენ იცის, იქნებ, მოაღწევდა სანამდე უამი  
ჩერიანგბთან სიხარულით დაბრუნებისა,  
რომ ჩემს ხეტიალს მოღებოდა ამითი ბოლო,  
შენვე მიმცემდი საშინელსა უბედურებას,  
რაც ელის ყველას კარით კარად მოხეტიალეს,  
ყოველ ლტოლვილს და გამოგდებულს თავის სახლიდან,  
თან რომ სდევს ბედის საზარელი, უწყალო ხელი.

### თოასი

ღმერთთ რაც არ უნდა მოგისაჯონ შენ და შენს ოჯახს,  
რაც ხანს აქ ცხოვრობ, უცხო ქვეყნად გაღმოხვეწილი,  
სარგებლობ ჩვენი სასურველი ნტუმრის უფლებით,  
ამ მომელებია ზეციური წყალობა მათი;  
ძალზე ძნელია დამარწმუნოს იმაში ვინმემ,  
რომ შენი სახით შევიფარე ცოდვილი სული.

## იფიგენია

არა შენს სტუმარს, უმაღლოდე შენს გულქველობას.

თოასი

ბიჭიერთადმი მოწყალებას, ქველმოქმედებას  
არ გარღმოავლენს თვის კურთხევას მაღალი ზეცა.  
შეწყვიტე შენი სიჯიუტე, დუმილი შენი!  
ამას მოითხოვს შენგან კაცი პატიოსანი.  
თვითონ ქალღმერთმა ხელთ გადმომცა მე შენი თავი  
და, როგორც მისთვის, ხარ ჩემთვისაც წმინდანი დიდად.  
კანონად შევრაცხ, თვისი ნება მანიშნოს ოღონდ;  
თუ გაქს იმედი სამშობლოში დაბრუნებისა,  
ჩემგან ახლავე შეიქნები თავისუფალი,  
მაგრამ თუ ეს გზა სამუდამოდ გაქს დაკეტილი,  
თუ შენი მოდგმა გაიფანტა ან მთლად ამოწყდა —  
თავს დაგტეხა საზარელი უბედურება,  
მაშინ ჩემი ხარ ყოველგვარი კანონის ძალით.  
სთქვი გულახდილად, კარგად იცი, არ გავტეხ სიტყვას.

## იფიგენია

რარიგ ძნელია, ენას ახსნა ბორკილი ძველი,  
რომ საიღმლო დიდი ხნისა გამოამეღლავნოს,  
რადგანაც ერთხელ საიღმლო თუ სხვას გავანდეთ,  
ამოფრინდება სამუდამოდ გულის სილრმიდან,  
რომ ამით ვნება მოიტანოს ან სარგებლობა,  
როგორც ღმერთები ისურვებენ. მაშ მომისმინე,  
იცოდე, მეცევ, ვარ ტანტალის შთამომავალი.

თოასი

რარიგ უბრალოდ წარმოსთქვამ მაგ დიდებულ სიტყვას.  
წინაპარს შენსას უწოდებ შენ იმ აღამიანს,  
ვისაც ძალიან კარგად იცნობს მთელი ქვეყანა,  
ვით ღმერთთა რჩეულს, შეყვარებულს ოდესლაც მათგან?  
ეგ ის ტანტალი ხომ არ არის, რომელიც ზევსმა  
ღმერთთა ბჟობაზე და ნაღიმშე თავისთან იხმო  
და ვის სიტყვასაც ტქბილს და ამოს, ღრმა აზრის შემცველს,  
უსმენდნენ თვითონ დიდებული ოლიმპიელნი,  
ვით წმინდა მისნის, ორაკულის, წარმოთქმულ სიბრძნეს?

## იფიგენია

ფიხ, ის არის, მაგრამ ცის შვილთ აღამიანთან,  
ესთ თინაბართან, მისვლა-მოსვლა როდილა მართებთ.  
შეკედებთა მოდგმას აღარ შესწევს იმდენი ძალა,  
რომ ის დაესხას თავბრუ უჩვევ მწვერვალზე ასულს.  
იყო ის იყო მოღალატე, არც უსინდისო,  
შეგრძმ მონობა არ შეეძლო მის სიღიადეს  
და ღმერთებთან კი იყო მხოლოდ აღამიანი;  
შეცური იყო მისი ცოდვა-დანაშაულიც,  
შეგრძმ სასტიკი განაჩენი უკვდავ ღმერთების;  
ესთ ნითქვამია სიმღერებში: ის სიამაყებ  
და ცერიდობამ ლუთის სუფრიდან ძირს გადმოსტყორცნა,  
აქეცი ძველი ტარტარების წამების მსხერპლად.  
ეს, მის მთელ მოდგმას წყევლა მათი თან სდევდა მუდამ-

თოასი

შისი ჭინაპარის თუ საკუთარ ცოდვათა გამო?

## იფიგენია

თუმცი დევგმირული მხარ-ბეჭი და გონება მძლავრი  
იყო წილხვედრი მისთა შვილთა და შვილიშვილთა,  
შეგრძმ შეკედა მათი შუბლი ბრინჯაოს სალტით  
უწყალო ღმერთმა და განდევნა მათი მზერიდან  
სიბრძნე, მოთმენა, სწორი განსჯა, ზომიერება.

შეკინერებაბადე მიღიოდა გულისთქმა მათი,  
შეს გააფთრებას აღარ ჰქონდა საზღარი, ზომა.  
თეოთონ პელოპსმა, საყვარელმა შვილმა ტანტალის,  
შეხანითური მკელელობის გზით შეირთო ცოლი,  
ჰიმოდიმია, ენომიას ტურფა ასული;  
შინ ქმარს შესძინა ორი ვაჟი: თიესტი, ატრეი,  
რომელნიც შურით შესცეროდნენ მამის სიყვარულს  
ჰირმში ძის მიმართ, ვინაც იშვა სხვა სარეცელზე.  
შეაეშირა სიძულეილმა ისინი მტკიცედ  
და მშის მკელელობა გახდა მათი პირველი საქმე,  
რიც სიღუმლოდ შეასრულა მუხთალმა წყვილმა.

მამამ მეუღლეს დააბრალა შვილის შევლელობა,  
რისხეით ილსავსემ დაბრუნება მოსთხოვა მისი  
და ამის გამო ცოლმა წამსვე მოიკლა თავი....

### თოასი

რატომ დადუმდი? გააგრძელე, ილაპარაქე!  
ნუ გენანება შენ ამგვარი გულახლილობა!

### იფიგენია

ბედნიერია, წმინდა გულით ვინაც იგონებს  
თავის წინაპრებს, ვინც სიამით აუწყებს ყველას  
იმათ საქმეებს, მათ გმირობას, მათ სიდიადეს  
და ამ მშევნიერ რიგის ბოლოს თავის თავს ხედავს.  
ვერა, ვერ შექმნის მეყსეულად ვერც ერთი გვარი  
ვერც ნახევარლმერთს, ვერც საოცარ, საზარელ ურჩხულს;  
მხოლოდ კეთილთა და ბოროტთა უგრძესი რიგი  
მოიწანს ქვეყნიდ სიხარულს ან საშინელებას.

შემდგომად მამის სიკედილისა მუხთალი ძმები  
მართავდნენ ერთად, შეთანხმებით სამკვიდრო ქალაქს,  
მაგრამ ვერაგთა თანხმობამ არ გასტანა დიდხანს.  
მაღლ თიესტმა სარეცელი შებილწა ძმისა,  
ხოლო ატრეიმ სამეფოდან განდევნა იგი.

მოლალატე ძმამ ეს მძიმე დღე წინასწარ იგრძნო  
და ძმას აღრუე ვერაგულად მოსტაცა შვილი.

ფარულად ზრდიდა თავის ძმისწულს, ვით ძეს საკუთარს,  
შურისძიების გრძნობის ცეცხლით აღანთო იგი  
და გააგზავნა საიდუმლოდ სატახტო ქალაქს;  
რომ ბიძის სახით მას მოეკლა მშობელი მამა.  
მაგრამ შეიტყვეს ავგედითი განზრახვა ყრმისა  
და მოგზავნილი მკელელი მეფემ აწამა ლილხანს,  
ეგონა ძმისწულს განუჩინა სისჯელი მკაცრი.  
გვიან გაიგო, მის ამღრუეულ თვალთა წინაშე  
თუ ვინ კვდებოდა აუტანელ ტანჯვა-წამებით.  
შურისძიების ლტოლვა გულში რომ დაეთრეუნა,  
მან განიზრახა აღსრულება საშინელ საქმის.  
შერიგებული, მშვიდი კაცის სახე მიიღო  
და განდევნილ ძმას, მისი ორი პატარა ბავშვით

უკან მოუხმო, ძმისწულები შეიძყრო ჩუმად,  
თრთავ ყელები გამოსჭრა და მათი ხორცისგან  
სიმშიადებული კერძი, ეგრეთ გულშემზარავი,  
სიართვი მამას პარველივე ნადიმობის დროს.  
როცა შეექცა შვილების ხორცს მშობელი მამა,  
შეიცყრო სევდამ, მოიკითხა შვილები თვისი,  
შეილთა ფეხის ხმა, საუბარი თითქოს კარს უკან  
შეისმოდა მას, ატრეიმ კი ველურ ხარხარით  
ქსროლა თიესტს სისხლიანი თავ-ფეხი მათი.  
შენ უკვე პირი მომარილე, ჩემო ხელმწიფები,  
მნიშობმაც ასე შეგვაქცია თავისი სახე  
და შეაბრუნა თავის ეტლი მუდმივი გზიდან.  
თი, ასეთი წინაპრები ჰყავდა შენს ქურუმს;  
შემაგილ კაცთა ბედს, მთლად აღსავსეს უბედურებით,  
უამრავ საქმეს, დამთხვეული გონების ნაყოფს,  
შეარვდა ღამე უმძიმესი და შავი ფრთხებით,  
შენ კი საზარელ, მქისე წყვდიადს კედავდით მხოლოდ.

### თოასი

ნულარ გამიმხელ შავ საზარელ, სისხლიან ამშებს.  
ქარა, რაც უკვე მოვისმინე, მხოლოდ ეს მითხარ,  
რა სასწაულით აღმოცენდი ამ ველურ ხეზე?

### იფიგენია

ეგამემნონი იყო პირმშო ძე ატრეისა,  
მისი შეილი ვარ. მაგრამ ვიტყვი გაუწითლებლად,  
რომ მასში ვნახე ჩემს პატარა ბავშობილანვე  
სიხე ნამდგილი, სრულყოფილი მამაკაცისა.  
ეგამემნონმა კლიტემნესტრა შეირთო ცოლად,  
მე ვიყავ მათი სიყვარულის ასული პირმშო,  
მერი ელექტრა დაიბადა. აგამემნონი

შეუობდა მშვიდად და ტანტალის უილბლო მოდგმას  
ტოლხის ნანატრი სიმყუდროვე ელიტრა ისევ.  
მხოლოდ ძე აკლდა მშობლების ტქბილ ბელნიერებას  
და როს აღსრულდა ეს სურვილიც, როცა ორ დასთან  
ერთოდ ორესტიც იზრდებოდა — ძმა საყვარელი,  
ოჯახს დაიტყდა თავს ახალი უბედურება.

ომის ამბავშა მოაღწია თქვენამდეც ალბათ,  
 ომის, რომელმაც საბერძნეთის ყველა სარდალი  
 აამხედრა და მიიყვანა ტროას კედლებთან,  
 რათ ეძიათ შური მტერზე, ვინც გაიტაცა  
 საბერძნეთიდან მშვენიერი ელენე. ტროა  
 დაიმორჩილეს მათ თუ არა, — მე აღარ ვუწყი.  
 წინამძღვრობდა მამაქმი ბერძენთა ლაშქარს.  
 ავლიდში მდგარნი სულ ამაოდ უცდიდნენ ზურგქარს,  
 რადგან დიანამ, მათს სარდალზე განრისხებულმა,  
 იქ შეაჩერა მიმავალნი და მოითხოვა,  
 კალხასის პირით, მსვერპლად მეფის უფროსი ქალი.  
 მათ მე ბანაკში მიმიტყუეს დედასთან ერთად.  
 წამსვე შემიყრეს, მიმიყვანეს საკურთხეველთან,  
 რომ ჩემი თავი შეეწირათ ქალმერთისათვის.  
 დიანა დასცხრა! არ ისურვა მან ჩემი სისხლი,  
 თეთრი ლრუბლები მომახვია და გამიტაცა,  
 გრძნობამიხდილი გონს მოვედი მე ამ ტაძარში.  
 ეს მე ვარ თვითონ, ხელმწიფელ, იციგენია,  
 ატრეის მოდგმა, ქალიშვილი აგამერნონის,  
 მხევალი წმინდა ქალმერთისა საუბრობს შენთან.

#### თოასი

უფრო დიდ ნდობას არ უცხადებ ხელმწიფის ასულს,  
 ვიდრე უცნობ ქალს, არც მივაგებ მასზე მეტ პატივს.  
 კელვ გიმეორებ უკეთ ნათქვავ ჩემს პირველ თხოვნას:  
 წამო ჩემს სახლში, ტახტი ჩემი გაიზიარე.

#### იფიგენია

როგორ გადავდგა ეს ნაბიჯი, ჩემო ხელმწიფევ?  
 განა ბედს ჩემსას არ განაგებს მხოლოდ ქალმერთი,  
 ვინც მე დამიხსნა, სიკვდილისგან გადამარჩინა?  
 მან მომიძებნა საიმედო თავშესაფარი  
 და სურს სიცოცხლე შემირჩინოს მიმისთვის, ვინაც  
 ჩემი სიკვდილის მოჩვენებით დასჯილა მქაცრიდ,  
 რომ სიხარული მივანიჭო მოხუცობის უმს.  
 როცა არ ვიცი, რას მიპირებს, ქალმერთის სურვილს  
 წენ ვით აღვუდგე, ვით შევბოქო აქ ჩემი თავი?  
 დიანას უკეთ შევევედრე! ნიშანი მამცნოს,  
 თუკი აქ, თქვენთან, სამუდამოდ დარჩენა მშართებს.

თოასი  
 ულემდე რომ ისევ ჩვენთანა ხარ, აყოვნებ წასევლას,  
 ის, ნიშანი მისი ნების გამომხატველი!  
 წელ ეძებ მიზეზს, მაგ სურველის გამამართლებელს,  
 რა საჭირო უარისთვის სიტყვამრაცლობა,  
 როდესაც მათში მარტოოდენ გაისმის: „არა!“

იფიგენია  
 ახა, რაც გითხარ, როდი არის სიტყვები მხოლოდ,  
 მე შენ წინაშე გადმოვჰალე მთლად ჩემი გული.  
 წეთუ არა გრძნობ, რარიგ ფრთხილი, რა შიშის გრძნობით,  
 ხოდვირი სევდით მივისწრაფი ჩემს დედ-მამასთან  
 და ჩემს და-ძმასთან შესახვედრად, შესაგებებლად?  
 რომ სასახლეში, სად დროდადრო ჩემს სახელს კიდევ  
 ნახედ ჩერჩულებს მწუხარება, მოულოდნელად  
 ქილავ შეინათოს სიხარულით, ვით ახალ მობილ  
 ხილების მოვლენამ, და დარბაზთა სცერები მორთოს  
 თევალისწაომტაცი, მშვენიერი გირლიანდებით.  
 წეს რომ მომცემდე სამშობლოში დასაბრუნებლად,  
 მეც, ჩემიანებს გვიბოძებდი სიცოცხლეს ახილს.

თოასი  
 ფაბრუნდი, ჰქემნი, რასაც შენი გული მოითხოვს  
 და წე მოისმენ კეთილ რჩევას, გონების განსჯას.  
 ქილავ დაუბრუნდი დედაკაცურ ბუნებას შენსას,  
 წენდე მთლიანად აულაგმავ წადილს გულისას,  
 მოულოდნელად რომ შეგიპყრობს და გაგიტაცებს  
 ექით თუ იქით, გაურკვეველ მიმართულებით.  
 როცა ენთება თქვენი გული ტრფობის სურვილით,  
 მიუცურებისგან ვეღარ გიცავთ კაეშირი წმინდა,  
 მეორეფასი მამის მეტრდიდან თუ ერთგულ მეულლის  
 მტკიცე მკლავთაგან მოგწყვეტ იგი დაუყოვნებლად,  
 და თუ თქვენს გულში ვნება არის დაუმებული,  
 მაშინ მათ შეეცდება თქვენს დარწმუნებას  
 მილევრად მეტყველი, წრფელი ენა სიყვარულისა.

იფიგენია  
 ახა დაივიწყო, ხელმწიფელ, რაც ახლა მითხარ!  
 წელ წრფელობისთვის გსურს ამგვარად გადამცხადო?  
 ჩენს, მხად ყოფილხარ ყოფელივეს მოსმენსათვის.  
 10. მ. გოვო

### თოასი

მზად როდი ვიყავ, მომესმინა მოულოდნელი...  
მაგრამ ამასაც მოველოდი. მე ხომ ვიცოდი,  
რომ დედაკაცთან პაექრობა მომიხდებოდა.

### იფიგენია

ეგრე წუ ჰეკიცხავ, მბრძანებელი, ჩენს საწყალ მოდგმას,  
არ არის ისე დიდებული, ვით თქვენი, მაგრამ  
მუდაშ წმინდაა საჭურველი დედაკაცისა.  
მერწმუნე, რომ მე მართალი ვარ და უკეთ ვიცი,  
რას წარმოადგენს, მეფევ. შეხი ბედნიერება.  
შენ ფიქრობ, თუმცა არც მე მიცნობ, არც თავს საკუთარს,  
რომ ეს კავშირი შეგვართობს სვებედნიერად.  
კეთილშობილი მხნეობით და იშედით საესე  
მოელი ჩემგან უდრტვინველად დამორჩილებას,  
მაგრამ მადლობა დიად ღმერთობს, მათ მომანიშეს  
გამბედაობა და სიმტკიცე, რომ უკუვაგდო  
ეს ქორწინება, თვით მათგანვე უარყოფილი.

### თოასი

ღმერთი კი რა, ამას ამბობს თვით შენი გული.

### იფიგენია

ღმერთები ჩენთან საუპრობენ ჩენივე გულის  
საშუალებით.

### თოასი

და მე განა არ მაქვს უფლება,  
ღმერთებს ვუსმინო?

### იფიგენია

ქარიშალი შმაგი ვნებების  
ახშობს მათ ნაზ ხმას.

### თოასი

ამ ხმას უსმენს ქურუმი მხოლოდ?

### იფიგენია

უნდა უსმენდეს მათ ხელმწიფე ყოვლთ უწინარეს.

### თოასი

წმინდა ხარისხი და უფლება, მემკვიდრეობით  
გამომცემული, თვითონ ზეგსის სუფრასთან ჯდომის,  
შეთან შენ უფრო გაახლოებს, ვიდრე მე, ველურს.

### იფიგენია

თუ, რა ჯილდოს ვიღებ ახლა იმ ნდობისათვის,  
რეც შენ თვითონვე მაიძულე გამომეჩინა.

### თოასი

შეც ხომ კაცი ვარ! მაგრამ დავა, სჯობს, გავათაოთ.  
უკან არ მიმაქვს ჩემი სიტყვა: იყავ ქალმერთის  
ქურუმი ისევ ვით აქამდე, რჩეული მისი.  
შერიამ დიანამ მომიტევოს, რომ უსამართლოდ  
მოვასპე მსხვერპლი, თუმც სინაულს ყოველთვის ვკრძობდი.  
არც ერთ უკანონო არ შეეძლო მშვიდობიანად  
ჩაქირებოდა ამ ნაპირებს, რადვინაც წენათ  
მას მოელოდა შემცველი სიკედილის საფრთხე;  
შენ კი ალერსით მეგობრულით, რომელშიც ზოგჯერ  
თითქოს საკუთარ ქალიშვილის სიყვარულს, ხანაც  
ჩემი საცოლეს მშვიდ გულისთვის ვაძნევდი ხოლმე,  
როგორც თილისმის ბორკილებით, შემბოკე ისე  
და დამავიწყე ჩემი წმინდა მოვალეობა.  
შენ მოადუნე, მიაძინე სინდისი ჩემი;  
ალარ ვუსმენ ით ხალხის დრტვინვას, მაგრამ ის ახლა  
ბრიალიდ მიყენებს ჩემი შეილის ნაადრევ სიკედილს.  
შენი გულისთვის მდვინვარე ბრძოს ვერ შევაჯვებ,  
რომელიც ასე დაჟინებით მოითხოვს მსხვერპლსა.

### იფიგენია

ჩემი გულისთვის როდი გთხოვდი მათ შებრილებას;  
ერნც ღმერთებს ეგრეთ სისხლისმწყურვალ მხეცებად სახავს,  
ძალიან ყალბი წარმოდგენა ჰქონია მათზე  
და თავის დაბალ გულისწადილს მიაწერს იმათ.  
თერთონ ქალმერთმა სიყვდილისგან არ მიხსნა განა?  
მას უფრო ჩემი სამსახური ისურვა, ვიდრე  
შესეკრძლად შეწირვა.

არ შეგვთერის, წმინდა ადათი

განესაჯოთ ჩეენი ზერა-ქვერა გონების ძალით  
და, თუ დაგვჭირდა, მისგან ასე გადავუხეოთ.  
ჩემი—ე ვიცი, აღასრულე ზენ ზენი ვალი.  
ხელთა მყავს ორი უცხოელი, რომელნიც პჰოვეს  
კუნძულის პირას, ერთ მლვიმეში დამალულები;  
არა მგონია, ამ ქვეყნისავის კეთილი სურდეთ.  
ზენმა ქალღმერთმა მათი სახით მიიღოს ისევ  
კანონიერი თვისი მსხვერპლი, ჩეენ რომ მოვუსპეთ!  
გამოგიგზავნი, თვითონ იცი აწ ზენი ვალი.

## შეოთხე გამოსცლა

იფ იგენია (მარტო)

მხსნელო ქალწულო, ზენ ღრუბლები გემორჩილება,  
რომ უკოდველი დევნილები შიგ გაახვიო  
და ქარს ტროტებით გამოსტაცო ულმობელ ბედსა,  
გადაატარო ზღვას, ხმელეთის უდაბურ ველებს  
და მიიყვანო, სადაც გნებავს, იღვილსა მყუდროს.  
ყოვლად ბრძენი ხარ, შორ მომ-ვალს სჭერეტს ზენი თვალი,  
არც თუ წარსული გევარგება მხედველობიდან  
და ზენი მხერა შევრდომილებს მხნეობას მატებს,  
ვით შეუქ ზენი, მოციმუმე მნათობი ლამის,  
ძირს განვენილი მიწაზე რომ ისვენებს მშვიდად.  
ო, სისხლისაგან დაიხსენი ხელები ჩემი!  
\*მთლიან ნუ მომისკობ სიმბიდეს და ბედნერებეს;  
ვიცი, აჩრდილი შემთხვევით ძირს დაცემულ მსხვერპლის  
მის უნგმურ მკვლელს, საბრალოსა და დაწუხხრებულს,  
უბედურ წამის მოგონებით დაუწეუბს დევნას,  
რადგან ზეცის შეილთ უყვართ კაცთა კეთილი მოდგმა,  
ასე ვრცლად. შორად განვენილი დედამიწაზე,  
და მოვდივთ ხშირად უგრძელებენ სიამოვნებით  
სწრაფულმავალი, ერთობ მოკლე სიცოცხლის წუთებს,—  
მცირე ხანს კიდევ სთავაზობენ ღმერთები იმათ  
და ენგას რთავენ ჩიწის ზერებს დაიტებონ რვალი  
მარადიული ზეცისა და უკვდავთა მზერით.

## შეოთხე გოჭმელება

პირველი გამოსცლა

ორესტი. პილადვა

## ორესტი

სიკვდილის გზაზე, მეგობარო, მივდივართ ახლა.  
უკველ ნაბიჯის გადადგმაზე მშვიდდება სული.  
როცა აპოლონს შევეველრე, რომ დავეხსენი  
ეგრეთ საშინელ, შური სმგებელ სულთა დევნისგან,  
შენი, აღმითვა, რომ მისხიდა და მამიყვანდა  
წმინდა ტაძარში თავისივე საყვარელ დისა,  
უნც ზეცის ნებით მრკიცე ხელით განავებს თავრიცს.  
ამა, აღსრულდა,—ჩემს ყოველგვარ უბედურებას  
და ჩემს სიცოცხლეს უნდა ახლა მოეღოს ბოლო.  
ამ მემნელება. სამედამოდ გამოვეოხოვო  
შენს წარმტაც სხივებს მე, რომელსაც ლუთაების ხელმა  
სული მომიქლა, დამიანელა გონება სალი!  
ოუკ ზეილიშვილთ ატრეიისა გმირულ ბრძოლაში  
სხეულოვანი აღსასრული არ უნდა პჰოვონ,  
თუ მეც, ვით ჩემმა წინაპრებმა, ვით მამაჩემმა,  
უნდა სამსხვერპლო პირუტყვით დავლვარო სისხლი,—  
ღე იყოს ასე! მაშინ აქვე, საკურთხევლის წინ,  
სიკეთებს დავეცე, ვიდრე საღმე წყეულ კუთხეში  
სიხე დამიგოს და მიმსხვერპლოს ვერაგმა მკვლელმა.  
ის დრომდე მაინც დამეხსენით, ბნელეთს სულნო,  
კით დაგეშილი მეძებრები ნაბიჯებს ჩემსას  
მემნით, სუნსულით რომ მოჰყვეათ სისხლიან კვალზე;

ჩამომეტსენით! თქვენს ქვესკრელში ჩამოგალ მალე;  
არც თქვენ და არც მე ღირსი არა ვართ მხის შუქის ხილვის.  
მშენებით სავსე მშვენ ნოხი დედამიწისა  
ლამის ურჩხულთა ასპირეზი არ უნდა გახდეს.  
მანდ, ჯოჯოხეთში, ყოველ თქვენგანს ვიპოვი მყისვე,  
მის ბნელ ჯურლმულში ერთი ბედი მოგველის ყველას.  
შენ კი, პილადე, ჩემი დიდი დანაშაულის  
და ჩემი დევნის უცოლველო, თანაზიარო,  
რარიგად მიმიძის, წაგიყანო წამების ქვეყნად  
ასე უდროოდ! ნუგეშსა მგერის სიცოცხლე შენი,  
შენი სრკვდილი კი შემიპყრობს შემჩარივ შიშით.

### პილადე

არა, ჯერ არ მსურს მე შენსავით, ძეირფასო ორესტ,  
გარდაცვლილ სულთა სამეფოში ჩაედე ნებით,  
რადგანაც კიდევ იმედი მაქვს, რომ ამ ბილიკით,  
რომელსაც ლამის წყვედიადისკენ ჩივყევართ თითქოს,  
კელავ გავიჭრებით ჩენ ახალი სიცოცხლისაკენ.  
არა, სიკვდილზე სულ არ ვფიქრობ, მე ველი მბოლოდ  
ლმერთების რჩევის, მიმითითონ შეუმცდარ გზაზე,  
რითაც შევიძლებთ გავიქცეთ და დავისსნათ თავი.  
თუნდ გვემინდეს, თუნდ არ გვერნდეს სიკვდილის შიში,  
ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიკვდილის მოსვლას.  
იმ წუთშიც, როცა ხელს აღმართავს ქურუმი ქალი,  
ჩენთა კულულთა აღსაკვეცად, გადარჩენაზე  
ვიფიქრებ მხოლოდ. სულით ასე ნუ დაეცემი,  
სასოჭარევეთით საურთხეს უფრო მოიახლოებ.  
ჩენ ხომ აღვითქვა აპოლონმა, რომ განგვიძადებს  
ნუგეშს და შველის, ბედნერად შინ დაბრუნებას  
წმინდა დიანას, მისიერ დის, საკურთხეველში.  
აგრე ორპირნი არ არიან ლმერთები, როგორც  
უბედურებით გატანჯულ კაცს ჰგონია ხოლმე.

### ორესტი

ბავშვობიდანვე დედაჩემა ცხოვრების ბნელი,  
გაუმშვირვალე ფარდა თავზე გადამაფარა,  
აი, ამგვარად ალვიზარდე მე მამის მსგავსი,

ხოლო დედას და მის საყვარელს ჩემი მდუმარე  
შერი, ვით მწარე საყვედური ხედებოდათ თვალში.  
ო, რაოდენჯერ, როს ჩემი და—წყნარი ელიქტრა  
იჯდო კერასთან მდუმარე და დაფუქრებული,  
სეფიან მკერდით მიყურდნობიარ მის იუხლებს ხოლმე  
და მიუძრია გაშტერებით, თუ რარიგ მწარედ  
ტიროდა იგი! იმის წემდევ მან ბევრი რამე  
შითხრა დიდებულს მამაჩერნებე. რა ილიტ მსურდა  
მე მისი ნახვა, მასთან ყუფნა. მე ხან ტრიასკენ  
შინდოდა გაკრა, ხან ველოდი მის დაბრუნებას.  
ამ, დადგა დღე.

### პილადე

ო, იმ შავგნელ, მწუხარე უამზე  
ილიაპარიაკონ ჯოჯოხეთის სულებმა ლამით,  
ჩენ კი ვეიბოძონ მოგონება მშენიერ დღეთა  
და ახალ გმირულ საქმეთავის შთაგვბერონ ძალა!  
ტერითებს სკირდებით ვაუკაცები უმაბიცესი,  
რომ ემსახურონ თვალუწვდერებ დედამიწაზე;  
ასეთ ვაეკაცად მიგიჩინეს ლმერთებით შენცა  
და მამას აღარ გაგაყოლეს, როდესაც იგი  
ორკუსისაკენ გაემგზავრა თვის უნებურად.

### ორესტი

წერავ მეც მისი სამოსელის კალთებისათვის  
ხელი მეტაცა. გავყოლოდი!

### პილადე

შენი დარჩენით  
ჩემთვის იზრუნეს, ჩანს, ლმერთებმა, რადგან არ ვიცი,  
ჩელის ვიზამდი, შენ სიცოცხლე რომ მოგსპრბუდა.  
შე მხოლოდ შენთან, მარტომოდენ შენი გულისხეის  
უშავეოლობიდან მოვალწიე ცოცხალმა დღემდე.

### ორესტი

ცე მომაგონებ იმ სანატრელ, მშენიერ დღეებს,  
როს შენმა სახლმა ფართო, ბუდორ ადგილი მომცა

და დიდებული მაშაშენი თავს მევლებოდა  
ახალგაზრდა ნერგს, თუმცა უკე ნახევრად დამზრალს.  
შენ კი ყოველთვის მხიარული, მხნე ამხანაგი,  
როგორც ნარნარი, უხრუნველი ჭრელი პეტელა  
დამფარუატებდი ფერდ, ბინდულ, მწუხარე ყვავილს  
და აღვებული ახალგაზრდულ სიცოცხლის ლხენით  
ჩემ სულს აფრქვევდი ხალისს შენსას ისეთი ძალით,  
რომ ვივიწყებდი ჩემს საშინელ უბიდურებას  
და შენთან ერთად ვეძლეოდი ჭაბუკურ ღელვას.

### პილადე

როს შეგიყვარე, მე სიცოცხლე დავიწყე მაშინ.

### ორესტი

სოქეი, წაშება-თქო, და მართალი იქნები უფრო.  
ოჲ, ჩემი ბედის საშინელი ეგ არის წყევლა,  
რომ, ვით დევნილი, შეძყრობილი შევი ჭირისგან,  
ტკივილს და სიკვდილს საიდუმლოდ ვატარებ გულით  
და რარიგ ჯანსაღ მხარეშიაც არ უნდა მოეხვდე,  
აყვავილებულ სახეებზე შევნიშნავ წამსვე  
ნელი სიკვდილის გამომხატველ ტკივილის ნიშნებს.

### პილადე

თუ შენი სუნთქვა მართლაც ეგრე მომწამელელია,  
მაშინ მე უხდა მოვმკვდარიყავ ყველაზე უწინ,  
მაგრამ ხომ მხედავ, რარიგ მხნე ვარ და მხიარული?  
სიყვარული და დაუშრეტი მხნეობა სულის  
დიდთა საქმეთა ფრთები გახლავს.

### ორესტი

დიდთა საქმეთა?  
დიახ, მახსოვს დრო, დიდ საქმეთა წინ როცა ვმდგარვართ,  
როცა გარეულ მხეცს ვუტევდით ორივე ერთად  
მთებში, ჭალებში და დიდებულ წინაპრის მსგავსად  
ხელში კეტითა და მახვილით მივდევდით კვაბზე  
მტაცებელ ურჩხულს, ვოცნებობდით მოგვექლა იგი.

შემდეგ კი ვრცელი ზღვის ნაპიჩზე უამს საღამოსას,  
მიქადლებულნი ერთმანეთზე, ვისხედით მშეიდად.  
ქვემოთ, ჩვენს ფერხთით, თამაშობდნენ ტალღები ზღვისა  
და შორს მოჩანდა გადაშლილი ქვეყანა ფართოდ.  
ჩვენს უნებურიდ წაიწევდა მახვრზე ხელი,  
ფიდა, მამაცურ საქმეთაოვის იღწვოდა გული,  
ვარსკვლავებივით ურიცხვნი რომ გვიცემრდნენ ღამით.

### პილადე

უსისრულოა საქმე, რომლის აღსასრულებლად  
შეგვიწევს სული; ჩვენ გვინდა, რომ ყოველი საქმე  
იმ სიღიადით აღვასრულოთ, რანაირადაც  
უკედავ პოეტთა სიმღერებით გაზვიადებულს  
შეს წარმოიდგენს მომავალი დრდი ხნის შემდეგ.  
ჩა საოცრად ულერს ვაჟაცობა ჩენთა მამათა,  
როს, სიღმოვამს ჩამომჯდარი მუხნარის ჩრდილშე,  
ქნარზე დამღერის ახალგაზრდა მათ გმირულ ამბებს,  
ჩა საცოდავად ვაზენება სიქმენი ჩვენი,  
ერთ ჩვენს წინაპრებს, რა საბრალო, ამაო შრომად.  
ასე მივდევთ ჩვენ ყოველივეს, რაც ჩვენს წინ მიჰქრის,  
ასეურად ვაგდებთ, გაურბივართ გზას ჩენგან გავლილს  
და ძლივსლა ვამჩნევთ ჩვენი გმირი წინაპრებისგან  
დარჩენილ ბილიკს, დიდებული სიცოცხლის ნიშანს.  
აჩქრებულნი ჩვენ ყოველთვის მივდევთ მათ აჩრდილს.  
ის კი შორეულ მთის მშვერეალებს, ოქროს ღრუბელში  
აშეუად მდგომელთ, ლვთაებრივა გვირგვინით ამჟობს.  
საცოდავად, ვინც თავის თავს უყურებს ისე,  
ერთ, შესაძლოა, განადიდოს ის ხალხმა შეძევე.  
შენ კი, ჭაბუკო, მაღლი უნდა შესწირო ღმერთებს,  
რომ შენი ხელით აღსასრულეს ამდენა საქმე!

### ორესტი

თუ მათ კაცს საქმე სასახელო არგუნეს ჯილდოდ:  
უნედურება ააცილოს თავისიანებს,  
გააფიართოვოს, განამტკიცოს სამეფო თვისი  
და მეელი მტრები დამბოს ან განდევნოს შორად,

ძალუძს შესწიროს ზეცას მაღლი, რადგან მას ღმერთმა  
უბოძა ხვედრი სიცოცხლისა საუკეთესო.  
მე კი ჯალათად ამირჩიეს ჩემივე დედის,  
სასირცხვო საქმის უსირცხვილო შურისმგებელად,  
რითაც თვითონვე მიმიყვანეს დაღუპეის კარად.  
ვიცი, ტანტალის მოდგმაზე მათ იძიეს შური  
და მეც, როგორც მის უანასკნელ წურმომადგენელს,  
არ მიშერია დავასრულო სიცოცხლე ჩემი  
პატიოსნურად, უცოდველად.

### პილადე

ღმერთები შვილზე  
არ იძიებენ შურს მიმათა ცოდვების გამო;  
ყოველი კაცი, კეთილია ის თუ ბოროტი,  
თავის ჩადენილ საქმეთათვის მიიჩნევს ჯილდოს.  
შშობლებისაგან მარტომდენ მათი კურთხევა  
და არა წყევლა, საშინელი, გადმოდის ჩვენზე.

### ორესტი

ჩვენ მათ კურთხევას, მგონი, აქ არ მოუყვანევართ.

### პილადე

თუ არ იმას, მაშ დიადი ღმერთების ნებას.

### ორესტი

სწორედ ეგ არის, ჩვენ რომ მოგვსპობს, მოგვილებს ბოლოს.

### პილადე

დაემორჩილე მათ ბრძანებას და დაელოდე!  
როცა აპოლონს დაუბრუნებ მის საკუთარ დას  
და კვლავ დელფაზე იცხოვრებენ ისინი ერთად,  
ხალხისგან პატივმიგებულნი უწინდებურად,  
ამ სახელოვან საქმისათვის დიადი წყვილი  
უხე მოწყალებას მოგანიჭებს აუცილებლად,  
ქვესკნელის ძალთა ხელისაგან დაგიხსნის წამსვე.  
ხედავ, ის ხელი მოკარებას აქ ვეღარ ბედავს.

### ორესტი

ყიცი, აქ მაინც მელირსება სიკვდილი მშეიღი.

### პილადე

შე სულ სხვას ვფიქრობ, ოსტა წურად დაკავშირებულს  
ეხედავ აქ წარსულს მომავალთან და მჯერა მისი.  
ოლბათ ღმერთების სამსჯავროში მომწიფედა უკვი  
ეს დიდი საქმე, დიანას სურს განმორდეს სწრაფად  
შულქვა სკვითებით დასახლებულ ამ სასტიკ ნაპირს.  
და მათ სისხლიან მსხვერპლეჭირვას აღარ უკეიროს.  
ამ დიდებული საქმისათვის ვართ არჩეულნი,  
შასხე თვით ზეცამ მიგვითოთა და აი, ბედმა  
გადმოგვისროლა მის მშვენიერ, მომაბვლელ კართან.

### ორესტი

რა იშვიათი ოსტატობით, რა კუვიანურად  
დაუკავშირე ღმერთთა მაჯავრი სურდილებს შეწას.

### პილადე

რა არის მაშინ კაცთა სიბრძნე, თუ ყურადღებით  
არ უსმენს იგი ზენაართა ურყეველ ნებას?  
შეინე, გმირული საქმისაკენ მოუხმობს ღმერთი  
კითილშობილ კაცა, უამრავი ცოდვების ჩამდენს,  
და მას აკისრებს, გვეჩენება რაც ჰეუძლებლად;  
გამოისყიდის გამარჯვებით უმძიმეს ცოდვებს  
და შენდობილი ზეცისგანაც, ქვეყნისაგანაც  
გმისახურება ის ორივეს ერთგულად, მშვიდად.

### ორესტი

რაკი შე ქვეყნად მოქმედება, სიცოცხლე წმართებს,  
მაშინ ლვთაებამ განმიტვირთოს გონება მძიმე  
ამ დამთხვეული ფიქრებისგან, მე რომ მოლიბულ,  
შშობლიურ სისხლით მრ სვრილ გზაზე მიმაქანებენ  
გარდაცვლილ სულთა საგანისკენ, დაე დააშროს  
ის სისხლის წყარო, დედაჩემის ჭრილობებიდან  
გადმომჩერებარი, ჩემს სახეზე ლაქებს რომ სტოვებს.

### პილადე

დამშვიდდი, ჩემო მეგობარო! მოუთმენელი  
უგუნურებით გაახელებ სიავეს უფრო  
და დაასრულებ ფურიების დაწყებულ საქმეს.  
დამაცა ცოტა, მოვითიქრო, იყავი წყნარად!  
როს ამ საქმისთვის დაგვჭირდება საერთო ძალა,  
მოგიხმობ მაშინ და განზრახვის იღსასრულებლად,  
წინ გავშევთ ერთად გონიორული გამბეჭაობით.

### ორესტი

მე წეონი, მისმა მეუფებამ დაკარგა ძალა,  
ჩოცა მოვიდა დამნაშავე, რომელსაც წყევლა  
სცევნის და ჰქორავს შავი ფრთხებით, ვით ბნელი ღამე.  
ეს ლვთის მოშიში სისასტიკე, წყურვილი სისალის,  
შეელ ჩვეულებას განაახლებს ჩვენს მოსასპობად,  
სიკედილს, დალუბვას განგვიმზადებს ხელმწიფის რისხეა,  
იმ გადაგვარჩენს დედაკაცი, როს მეფე ბრიზობა.

### პილადე

მგონი, ულისის სიტყვებს ვრმენ!

### პილადე

რატომ დამცინი?  
ყოველ კაცს უნდა პყავდეს თავის რჩეული გმირი,  
რომელიც მას გზას გაუკაფავს ოლიმპისაკენ.  
გამოგიტყები, რომ სირცეცილად არ ჩაეთვლება  
სიბრძნესთან ერთად სიცბიერეც იმ აღამიანს,  
ვინც სასახელო საქმეთათვის გადადო თავი.

### ორესტი

მამაცა, პირდაპირ აღამიანს ვაფასებ დიდად.

### პილადე

სწორედ ამიტომ მოვათხოვდი მე შენგან რჩევას.  
ურთი ნაბიჯი საქმიანი გადაუდგი კიდეც,  
უკვი დავტუშე ბევრი რამე დარაჯებს ჩვენსას.  
გავიგე, რომ ერთ უცხოელ ქალს, ღმერთების მსგავსსა,  
შეუზღდია სისხლიანი კანონი მათი,  
მხოლოდ წმინდა გულს, გულწრფელ ლოცვას და წმინდა

გუნდრუს  
სიკეთეს ის ღმერთებს. ამ მხარეში დიდ პატივს სცემენ  
შთამომავალი იმორძალთა, ლტოლვილი ვინმე,  
განრიცებული უდიდესსა უბედურებას.

### მეორე გამოსვლა

იფიგენია. პილადე

### იფიგენია

სიდაური ხარ, სიდან მოხვალ, სთქვი, უცხოელო!  
შეონია, ბერძენს უფრო პევებარ შენ, ვიდრე სკიოთსა.  
თევისუფლებას განიჭებ ჩენ ხიფათით სავსეს.

(ბორკილებს ახსნის.)

დე ღმერთებმა აგაცილონ უბედურება!

### პილადე

მო, ტებილო ხმავ, სანატრელო, ნაცნობო ბგერავ,  
ფრდ ენაზე რომ გაისმის ამ უცხო მხარეს!

ჩემი სამშობლოს ლურჯ მთებს ისევ შევალე თვალი,  
ტყის წინაშე რომ იღიართნენ სასურველ სახით.  
დე ახლა მტკიცედ დაგარწმუნოს ამ სახარულმა,  
რომ მეც შენსავით ბერძენი ვარ. გადავივიწყე  
სულ ერთი წამით, თუ რა ძლიერ, თუ რაოდენად  
გსაჭიროებ შენს დახმარებას და ჩემი სული  
მთლიად მისცემია ამ დიდებულ გამოცხადებას.  
მითხარ, თუ ბედმა არ დაკეტა დუშილის ბეჭდით  
ბაგენი შენი, თავს აკუთხნებ ჩეგნს რომელ მოდგმას,  
საიდან მოდის შენი გვარი, ღმერჩების მსგავსო?

### იფიგენია

შენთან ქურუმი ლაპარაკობს. თვითონ დიანას  
რჩეული ქალი, შემოსილი წმინდანის შუქით.  
დაკმაყოფილი ამ პასურით. მითხარი, ვინ ხარ,  
მუხთალმა ბედმა რანაირად გადმოგრძოლათ  
შენა და შენი ამხანაგი ამ ნაპირებზე?

### პილადე

არ მეძნელება, მოგიყენ. რა უბედურება  
გვდევნიდა იქნა, საშენელი თანამგზავრებით.  
ასე დევილად ნეტავი შენც, ღვთაებას სწორო,  
გადმოგვხედავდე მხიარული ნეგეშის თვალით.  
კრეტელები ვართ, უბედური აღრასტის ძენი,  
მე უმცროსი ვარ და სახელად კეფალი მქვია,  
მას კი, უფროს ძალა — ლაოდამას, ხოლო ჩეგნს შორის  
შუათანა ძმა იყო შმაგი, პარქეუში მეტად.  
ბავშობიდანვე თამაშის დროს სწამლივდა იგი  
ჩეგნს ერთსულოვან მეგობრობას, სიხარულს ჩეგნსას.  
ძირს არ ვაგდებდით დედის სიტყვას, მორჩილი მისი,  
სანამდე მამა მტერს ებრძოდა ტროის წინ ძლიერი;  
მაგრამ ომიდან როს ნადავლით დაბრუნდა იგი  
და მოკლე ხანში მიიცვალა, წამსვე გაგვთიშა  
სამეფოსათვის ატეხილმა ჩერებმა და დავამ.  
მე მხარს ვუჭერდი უფროს ძმას, ვინც თავის ძმა მოკლა.  
ამ სისხლიანი ცოდვის გამო, ყოველთვის, ჯელგან,

შეგრძნ დელფელმა აპოლონმა აქ გამოგვეზავნა  
დიდი იმედით, რომ ტაძარში მისივე დისა  
ჩემი გეელოდება გადარჩენის მოწყალე ხელი.  
აქ კი შეგვიპრებს და სამსხვერპლოდ წირმოგვადგინეს  
ჩემი შენს წინაშე. აპა, გითხარ ამბავი მთელი.

### იფიგენია

ტრიო დაეცა? სთქვი ვაჟაცო, დამიდასტურე!

### პილადე

ნინგრევად იქცა. დაგვისხნი, ნულარ აყოვნებ  
ლეითისაგნ ალტემულ დახმარებას, გთხოვ, შეიბრალო  
ჩემი ლვიძლი ძმა, დაამზეოდო კეთილი სიტუაცით.  
როდესაც მასთან ისაუბრებ, მოწყალე ექმენ,  
ფიხეჯითებით გთხოვ მე ამას! მის ავალმყოფ სულს  
სიხარული და მწუხარება, წარსულის მძიმე  
შოგონებანი აამლვრევენ საშინლად ხოლმე.  
უფუნურება იპყრობს შაშინ და ფურიების  
ნადივლი ხდება მისი წმინდა, ნათელი სული.

### იფიგენია

თუმც ასე დიდი არის შენი უბედურება,  
გაფიცებ ღმერთებს, დაივიწყო წუხილი შენი,  
კიდრე ჯერ ჩემთვის არ გითქვია სუსველაფერი.

### პილადე

დიდი ქალაქი, ათი წელი წინ რომ აღუდგა  
და არ დანებდა საბერძნეთის უძლეველ ლაშეარს,  
უერთლია ახლა, ველარის ტროს აღდგება იგი.  
შეგრძნ იქ ბევრმა ჩეგნიახმაც ჰპოვა სამარე  
და გმირთა ხსოვნას უნებურად აწ გადაეცვართ  
ხარბაროსების ქვეყანაში. თავის მჩენიერ  
შმობილთან ერთად აქილევსი იქ განისვენებს.

### იფიგენია

შეშ თქვენკ, ღმერთების თანასტორნო, ქცეულხართ ფერფლად.

### პილადე

პილამედე და იიაქსიც ველარასოდეს  
ვერ იხილავენ საბერინეთის მშობლიურ ნათელს.

### იფიგენია (თავისთვის).

არათერს ამბობს მამაჩრდენ, დაღუპულთ რიცხვში  
არ იხსენიებს. დიახ, იგი კელავ ცოცხალია!  
მე მას ვიხილავ! ნულარ სწუხხარ, დამზედდი, გულო!

### პილადე

ნეტიარება მას, ვინც დაე კა სამშობლოსათვის  
და ბრძოლის ველშე საუჯუნო დიდება ჰპოვა!  
რადგან ოჯახში დაბრუნებულთ ზეიმის ნაცელად  
მხოლოდ მწუხარე აღსასრულს და საშინელ საფრთხეს.  
უმხადებს მტრობით შეცყრობილი მრისხინე ღმერთი.  
ნუთუ შენამდე ხმამ ხალხისამ ვერ მოაღწია?  
ის შორს გავარდა და მოვთინა ამბავი ყველგან  
იმ გაუგონარ საქმეებსე, რაც უკვე მოხდა.  
მაშ შესთვის ახლაც ის წუხილი, უბედურება  
მიკენას დარბაზთ განუწევე ტელ მოთქმით რომ ავსებს,  
საიდუმლოა? კლიტემნესტრამ თავის შეულლეს  
უდალიტა და, როცა სახლში დაბრუნდა იგი,  
მოკლა ეგისთის დახმარებით მუხანათურად!..  
დიახ, პატივს სცემ ამ სასახლეს, მშვენივრად ვხედავ.  
იმასაც ვაძიჩივ, შენი გული იმაოდ ებრძეის  
ამ მოულოდნელ, გაუგონარ, საშინელ სიტყვას.  
იქნებ შენ თვითონ ასული ხარ მისი მეგობრის?  
ან მეზობელი, იმ ქალაქში დაბადებული?

ნუ დამიმალავ და შემინდე, რომ საზიარელი  
ამბავი ესე მე, პირველმა, შეგატყობინე.

### იფიგენია

მაუწე, როგორ აღასრულეს ეს მძიმე საქმე?  
პილადე

იმავ დღეს, როცა ლაშქრობიდან დაბრუნდა მეფე,  
შევიდა იგი აბანოში და განგანილმა  
თავის ახალი ტანსაცმელი მოსთხოვა ცოლსა.

მან კი, ვერაგმა დედაკაცმა, ნაოჭიანი  
და ისტატურად დანგენჯული ქსოვილი ფართო  
ფიდებულ მეფეს გადაცვა თავსა და მხრებზე.  
ის დროს, როდესაც ბადისაგან თავის გამოხსნას  
ცილობდა მეფე გამალებით, მაგრამ ამაოდ,  
შევარდა მასთან ეგისთი და შაშინვე მოკლა.  
ამ, იმგვარად გაემგზავრა საიკოში  
შემულ ქსოვილში გახვეული ხელმწიფე დიდი.

### იფიგენია

და რა მიიღო ჯილდოდ ბილწმა თანამზრახველმა?

### პილადე

სიხელმწიფო და სარეცელი, აღრეც რომ ჰფლობდა.

### იფიგენია

ექორცმა ვნებამ მიიყვანა ამ სიბილწემდე  
შეფის მეულლე?

### პილადე

და ამასთან შურისძიებამ,  
რომელსაც იგი გულში დიდხანს ლრმად ინახავდა.

### იფიგენია

როთ შეურაცხყო იგი მეფე?

### პილადე

უმძიმეს საქმით,  
რომლის შენგობა ძალგვიძს, თური მკვლელს მივუტევებთ.  
იგი ეგლედში მიიტყუა აგამემნონმა.  
როცა ღვთაება წინ აღუდგა ძლიერი ქარით,  
და გადულობა გზა ტროასკენ მიმავალ ბერძნებს,  
სადაც უფროსი ქალიშვილი, იოუგენია,  
შეინდა დიანას საკურთხეველს შესწირა მსხვერპლად,  
რომ ელინელნი მისი მკარი რისხისიგან ეხსნა.  
სწორედ იმიტომ, ვით ამბობენ, ქმრის სიძულვილი  
მის გულში ისე აღიბეჭდა, რომ სწრაფლ დანებდა.

თავხედურ სწრაფვას ეგისთისას და თვით განვია  
წყეშლ ბადეში დიდებული მეუღლე ცოლმა.

ი ფ ი გ ე ნ ი ა (პირბადეს ჩამოიფარებს.)

ო, ქმარა, ქმარა! ჩვენ ერთმანეთს კიდევ ვიხილავთ. (გადის.)

პ ი ლ ა დ ე (მარტო)

როგორც ჩანს, ფრიად აალელვა მეუის ოჯახის  
სასტიქმა ხვედრმა. ვინც არ უნდა იყოს ეს ქალი,  
აშკარად ვამჩნევ, რომ ხელმწიფე სცნობია კარგად.  
ალბათ ცნობილი ოჯახიდან გაკიდეს იგი  
ამ ქვეყანაში, სწორედ ჩვენდა საბეჭნიეროდ.  
დაშვეიდდი, გულო, მხნედ მივენდოთ იმედის ვარსკვლავს,  
გზას რომ გვიშუქებს, გავეშუროთ მის შესახედრად.

მ ი ს ა მ ე მ ე დ ე ბ ა

პ ი კ ვ ა ლ ი ჩ ა ვ ი ს ვ ლ ა

ი ფ ი გ ე ნ ი ა. ორესტი.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

შეღწიეთ ყრმაო, ბორკილებს გხსნი მწუხარე ბედის  
აცხანიშნავად, რადგან შენთვის მონიჭებული  
თვეისუფლება უკანასკნელს ჰგავს ამოსუნუქვას,  
უწი ეთ მძიმე ავადმყოფის მიმქრალი მჩერა,  
არის სასტიქი აღსასრულის მაუწყებელი.

შე ჯერ არ ძალმიძს გავიფიქრო, თავს გამოვუტყდე,  
რომ თრიცენი დასალუპად ხართ განწირული!

და ეთ შევიძლებ სასიკედილოდ გამოგიმეტოთ?

სანამ დიანას ქურუმი ვარ, ვინც უნდა იყოს,

ხელს ვერეინ გახლებთ, თითს ვერავინ ვერ დაგაკარებთ,

ჩერიმ, როდესაც უარს ვიტყვი მოვალეობის

აუსრულებაზე, რაც ხელმწიფემ მე დამაკისრა,

უწი თორჩებს რომელიმე ქალწულს ქურუმად

ჩემს მსახურთაგან და მე მაშინ როგორ შევეძლებ

ოქენს დახმარებას, თუნდაც დიდი სურვილი მქონდეს?

ჩემი თვისტომო ლირსულო, კერასთან მჯდარი,

ხელის მორჩილი, უბედური, საბრალო მონაც

უცხო მხარეში რომ ვიხილოთ, გვახარებს დიდად.

ოქოთონ განსაჯე, უნდა შეგხვდეთ რა სიხარულით

ოქენ, რომელთ ჩემს წინ გააცოცხლეთ სურათი გმირთა,

ჩემშემიდანვე მოწიურებით რომ ვცემდი თაყვანს,

მა ქელივ ახალი მშვენიერი იმედის ცეცხლით,

უაწერ მიცურა ნეტარებით აღმინთეთ სული.

## ორესტი

განზრაა არ ამხელ შენს სახელსა და წარმოშობას  
რამე გონივრულ მოსაზრებია? თუ შემიძლია  
შევიტყო, ვინ დგას ჩემს წინაშე ლოთიების მსგავსი?

## იფიგენია

ყველაფერს გეტყვი, მანამდე კი შენ მითხარ ახლა,  
ოც შენი ძმისგან ნახევარი გაფიგე მხოლოდ;  
რა დაემართათ ტროადან შინ დაპრუნებულებს,  
რომელთ ელოდათ უეცარი, სასტრი ბედი  
თავიანთ ბინის კარის ზღურბლთან, მთვლემარე ჩუმად?  
თუმც ბავშვი ვიყავ, ამ ხაპიჩზე გადმომსვეს როცა,  
მაგრამ კვლავ მახსოვს, რარიგ ფრთხილი, მშიშარი მზერით,  
რა გაოცებით შევურებდი დიდებულ გმირებს.  
ისინი მტრისენ გაემართნენ, ასე მეკონა,  
თითქოს გაიხსნა ზეცის კარი და ოლიმპიდან  
მწუხარე ჩრდილი, გარდასული ამ ქვეყნისაგან,  
ძირს გადმოუშენენ დასამხობად ილიონისა.  
აგამენონი ბრწყინვალებით ჩრდილავდა ყველას.  
მაუწყე, თავის კარის ზღურბლთან დაეცა მართლა  
იგი მეუღლის და ვერაგი ეგისთის ხელით?

## ორესტი

დიახ!

## იფიგენია

ვაი შენ, უბედურო მიკენას სახლო!  
ასე დასთესეს უხვი ხელით წყევლაზე წყევლა  
წყილიშვილებმა ტანტალისა და სარეველა  
ბალახის მსგავსად, უნაყოფო თავის ირგვლივ მოაბნევს უხვად,  
ლვარბლიან თესლს რომ თავის ირგვლივ მოაბნევს უხვად,  
მუდმივი მტრობის. სისხლის ლვრისთვის თავიანთ მოდგმას  
სისხლით თვისტომნი კაცის მკვლელი წარმოუვლინეს!  
მაშ გამიმხილე, რასაც შენი ძმის ნათხრობიდან  
ჩემს წინ უეცრად შიშის ბინდი გადაეფარა.  
როგორ გაექცა დღეს სისხლიან შურისძიების  
ამ დიდი გვარის ვაჟიშვილი უკანასკნელი,  
ორესტი, ბავშვი მშვენიერი, ვისაც განგებით

ფაქისერებია მამისათვის შურისძიება?  
იქნება იგიც დაისაჯა ამგვარი ბედით  
უა უერ ასკილდა, ვერ დაუსხლტა აკერნის ბადეს?  
გადამისა სიკვდილს, ცოცხალია? მითხარ, ელექტრაც  
ხომ კოცხალია?

## ორესტი

## იფიგენია

ბრწყინვალე მზეო,  
ჭაღმოაფრევი მშვენიერი შენი სხივები  
უა განაბნიე ზეცის ფერხთით მაღლობის ნიშნად,  
რაფგან. საბრალო, სიხარულით დაეჭუნჯდი უკვე.

## ორესტი

ალბათ ყოფილხარ მეფის სახლში სასურველ სტუმრად,  
ან იქნებ მასთან ახლოს დგეხარ თეისტომი სისხლით,  
როგორც მე ამას სიხარული მაუწყებს შენი.  
შეშ მხნედ იყავი, დაიმშეიდე მლელვარე გული,  
რაფგან იქნება მისოვეს მეტად აუტანელი,  
სიხარულისგან დაუბრუნდეს კვლავ მწუხარებას.  
შენ, როგორც ცხედავ, იცი ძნოლოდ სიკვდილი მეფის?

## იფიგენია

სუთუ ეგ ცნობა საკმარისი არ არის ჩემთვის?

## ორესტი

შიშინ გცოდნია ნახევარი უბედურება.

## იფიგენია

რილისი უნდა მეშინოდეს, რაყი ცოცხლები  
კოფილიან ორესტ და ელექტრა?

## ორესტი

მაშ კლიტემნესტრას  
ხედი სრულებით არ გაშინებს?

### იფიგენია

მას ვერ დაიხსნის  
ველარც იშედი და ვერც შიში.

### ორესტი

გამოეთხოვა  
იგი სიცოცხლეს, სასოების ქვეყანას უკვე.

### იფიგენია

იქნებ ტანჯვით და სინანულით გაშმაგებულმა  
თავისი სისხლი დააქცია?

### ორესტი

არა, მაგრამ ის  
მსხვერპლი გახადა სიყვდილისა მისივე სისხლმა.

### იფიგენია

სთქვი უურო ნათლად, რომ დიდხანს არ დამჭირდეს ფიქრი?  
თავს დამტეხია შავი ფრთებით უცნობი ბედი  
და შიშისაგან ველარ ვხედები ქარაგმულ ნათქვამს.

### ორესტი

მაშ, ჩანს, ღმერთებმა აღმირჩიეს იმ საქმის მაცნედ,  
რომლის დაძალვა ბნელი ღამის ყრუ სამეფოში  
სრულიად უხმოდ, საიდუმლოდ მინდოდა გულით?  
ჩემივე ნების წინააღმდევ მხდის იძულებულს  
ევ ოქონს ბაგე, დაგმორჩილდე მის ნათქვამ სიტყვას.  
მხოლოდ მას ძალებს მოითხოვოს ეს აღსარება,  
რომელიც ჩემს გულს დიდ ტკივილებს განაცდევინდს.  
იმ დღეს, როდესაც ვერაგულიდ მოუკლეს მიმა,  
ელექტრამ იხსნა თავისი ძმა; ის სტროფიუს შა,

აგამერნონის სიძე მ სახლში წაიყვანა და,  
თავის საუთარ შვილთან ერთად აღზარდა იგი;  
მის გაუს პილადეს უწოდებდნენ, და ეს ორი ყრვა  
შეაკავშირა მეგობრობამ უძეირფასესშა.

და ვით ისინი იზრდებოდნენ, მათს გულებშიაც  
უჩიად ფეხვებადგმული იზრდებოდა სურვილი მძლავრი,  
აფამერნონის ბილშ მცვლელებსე ეძიათ შერი!

უცხო სამოსში გამოწეობილთ, მათ მიკენაში  
შოულოდნელად მიიტანეს მწუხარე ცნობა  
ორესტის ყალბი სიკვდილისა და თითქოს ფერფლიც...  
მათ დედოფალი შეხვდა დიდი პატივისცემით;  
ახალმოსულნი დაბინავდნენ მის სასახლეში.

ორესტი თვის დას გამოუტყდა ყოველივეში;  
ერებტრა წამსვე შურისკების იღანთო ცეცხლმა,  
რაც თითქოს დედის სიახლოეთ ჩაფერფლილიყო.  
დაშ ძმა ფარულად მიიყვანა სწორედ იმ ადგილს,  
ხაფიც მოეკლით მათი მამა, სად იატაკე

მეტლი ნიშანი თავხელურად დაქცეულ სისხლის—  
მეტრილი ლაქები ალისტერად ელავ გნენ ისევ.

შეზნებარე სიტყით ალუტრა ერექტრამ ორესტს  
ერებლივე, რაც მოპყოლოდა უწმინდურ სექმეს,  
შეარე, მონური, გატანჯული ცხოვრება თვისი,  
ურცხვი ლალობა სცეცელიერ მოლალატეთა  
და სამინელი საფრთხე, რაც ორივეს, და ძმას,  
ელოდა იხლა დედინაცვლად ქცეულ დედისგან.

შემინვე მისცა ძმას ელექტრამ ხანჯალი ძველი,  
რომლითაც ბევრჯერ განგმირული ტანტალის მოდგმა.  
ამ ხანჯლით მოპყლა კლიტემნესტრა მისივე შვილმა.

### იფიგენია

უკიდურესო ღმერთნო, მარად ახალ ღრუბლების ზემოთ  
ხათულ დღებს რომ ნეტარებით ატარებთ ხოლმე,  
ნეთუ იმისთვის განმაპორეთ აღამიანებს  
ასე დიდი ხნით და თქვენს ახლოს მომეცით ბინა,  
ნეთუ იმისთვის მომხიბლეთ ამ ბიეშვეურ გართობით,  
ოქტონის სამსხვერპლოზე წმინდა ცეცხლის გამჩალებელი,  
და ჩემი სულიც, შემოსილი უკვდავი შუქით,  
განა იმისთვის აღავლინეთ თქვენს სამეფოში,  
რომ ჩემი სახლის შემზარავი უბრდურება  
თუმცი ეგრეთ გვიან, მაგრამ მწევავედ შევიგრძნო ახლა?  
მომხარ, რას შერება, როგორ არის ბედშვი ორესტ?

## ორესტი

ნეტავ შემძღვანოს გიპასუხო: მკვდარია იგი!  
თითქოს მრიასანედ წამომდგარა დალერილ სისხლიდან  
სული დედისა  
და მოუწოდეს შურისმგებელ ბნელეთის ასულთ:  
„არსად გაეგეცეთ, შეიპარით ეგ დედის მკვლელი,  
სდევნეთ, აწამეთ დამნაშავე! თქვენია იგი!“  
ისინიც წამსვე ყურებს სცევეტენ და მედიდურად  
აპრიალებენ გაუმაძლარ არწივის თვალებს.  
ხეტიალობენ, წრიალებენ ბნელ ბუნაგებში  
და მეგობრები მათი: ეჭვი და სინანული  
ყაველ კუთხიდან მიძრებაან, იწევენ ახლოს.  
შათ წინ მოუწლეს სქელი ორთქლი აქერონისა,  
რომლის ბოლქვებში აღმართული საზარი ლანდი,  
მარად მჭერეტელი ჩადენილი დანაშაულის,  
ბოროტის მოქმედს თავზარს სცემს, აძრწუნებს ხოლმე.  
და ეს სულება, აღჭურვილნი სრული უფლებით—  
შური იძიონ ივის მქნელზე, დალუპონ იგი—

კვლავ ამოდიონ ლვთისგან ნაეურთხ ლამაზ მიწაზე,  
შერისხულები, განდევნალნი დიდი ხნის წინათ.  
უკან მოსდევენ აქ ისინი საბრალო ლტოლვილს  
და თუ ხანდახან ამოსუნთქვის აძლევენ ნებას,  
ისიც იმისთვის, რომ ხელახლა თავხარი დასცენ.

## იფიგენია

ბეჭმავო ყრმაო, მსგავსი ბედი გრებია შენცა  
და იმ საბრალო ლტოლვილივით განიცდი ტანჯვას.

## ორესტი

როგორ თუ მსგავსი, მაგ სიტყვებში რასა გულისხმობ?

## იფიგენია

შენც იმასავით სულს გიშამებს მკვლელობა ძმისა..  
შენმა მრწემმა ძმამ ყოველივე გამანდო უკვე.

## ორესტი

არ შემიძლია მოვითმინო, დიადო სულო,  
რომ მოგატყუონ, შეგაცდინონ სიტყვებით ყალბით.

დე უცხომ უცხოს ფერხთ დაუგოს სიცრუის მახე  
და შეეცადოს ოსტატურად მის მოტყუებას  
თვით სიცბიერეს მიჩვეული, ჩვენს შორის უნდა  
სიმართლე ითქვას!

მე გარ ორესტი! ახლა ჩემი ცოდვილი თავი  
სამარისაკენ იხრება და ეძიებს სიკედილს;  
ოუნდაც მიიღოს ათასგვარი წამების სახე,  
იგი სტუმარი სისურვეელი იქნება ჩემთვის.  
ვინც უნდა იყო, გადატჩნას გისურვებთ შენ და  
მეგობარს ჩემსას. მაგრამ ჩემთვის ამ მინდა იგი.  
ჩანს, იმყოფები ამ მხარეში შენს უნებურად;  
მაშ გაიქცეოთ და მე კი აქ დამტოვეთ მარტო!  
დე ამ კლდეებზე დაიფლითოს ჩემი სხეული,  
დაე დაინთხეს ჩემი სისხლი, ზღვას შეერიოს  
და მოუტანოს ბარბაროსთა ჭვეყანას წყევლა.  
მაშ გაეშურეთ საბერძნეთის თვალწარმტაც მხარეს  
და იქ ახალი მეგობრული ცხოვრება იწყეთ.

(გაშორდება.)

## იფიგენია

მაშ, როგორც იქნა, ძირს ეშვები, მოდიხარ ჩემსკენ,  
წმინდა ქალღმერთო, აღსრულებავ ყოველგვარ საქმის.  
გოლიათივით აღმართულხარ შენ ჩემს წინაშე  
და ჩემი მშერა ძლივალა აღწევს შენს ხელებამდე,  
რომლითაც მოგაქს თლიმიდან ძვირფასი განძი,  
თაიგულებით და ნაყოფით სავსე კალბთა.

ვით მეფეს გულუხე მოწყალებით იცნობენ ხოლმე,—  
რადგან მას მცირედ ეჩვენება, რაც ათასთაოვის  
არის სიმდიდრე უსაზომო,—სწორედ ამგვარად  
გიცნობენ თქვენცა, ზეცის შეილნო, უხე საჩუქრებით.  
მხოლოდ თქვენ იცით, რაა წმინდა, ძვირფასი ჩენთვის,  
თქვენ სპერეტო მომავლის უსასრულო სამეფოს სივრცეს,  
როს იგი ჩენთვის ყოველ მწუხრზე დაფარულია  
ურიცხე ვარსკელავთა ქარავანით ან სქელი ნისლით.  
გულმშვიდად უსმენთ მოუთმენელ ვეღრებას ჩვენსას,  
რომელიც ბაკშურ დაუინებით გაჩქარებთ ხოლმე.

მაგრამ არ მოსწყეტს თვენი ხელი ზეცით შეცრდიდან  
დაუმწიფებელ ოქროს ნაყოფს, სანუკეარს ჩერენვის,  
და ვაი იმას, ვინც ხელს იხლებს მას თავის ნებით,  
მის სიმწარესთან თვით სიკვდილსაც იგემებს იგი.  
მექმენით შემწე, არ დამისხლტეს ხელიდან იხლა  
დიდ ხნის ნანატრი კვლავ საეჭვო ბედნიერება,  
როგორც აჩრდილი დატირებულ მეგობარისა,  
მოულოდნელად რომ მწევევია, და შემიბრალეთ,—  
მისი დაკარგვით ხელმეორედ ნუ დამსჯით მკაცრად.

### ორესტი (კელავ მიუახლოვდება იფიგენიას)

მოუხმე ღმერთებს პილადესა და ჟენდა შეძელ,  
თქვენს სახელებთან არ ახსენო სახელი ჩემი!  
შენ ვერ დაისხნი დამნაშავეს და ამით მხოლოდ  
გაიზიარებ წყვლისა და უბედურებას.

### იფიგენია

შენს ბედ-იღბალთან ჩემი ბედი განუყრელია.

### ორესტი

არა, არაფრით! გამიშვით მე სრულიად მარტო  
მიცვალებულთა სამეფოში. თუნდ გადაპოვარო  
შენი ლეჩიქით დამნაშავის ცოდვილი თავი,  
ვერ დაუმალავ სასტიკ მხერას ფურიებისას  
და შენი ჩემთან სიახლოვე, ციურო არსო,  
მათ ვერ განდევნის, მომაცილებს დროებით მხოლოდ  
ვერა ბედავენ, თავიანთი რეინის ქუსლებით  
რომ გადმოოცელონ თავხედურად მუხნარი წმინდა,  
მაგრამ აქა-იქ შორით მესმის ხარხარი მათი,  
რაღაც ველური, შემზარევი. ასევე მეღლები  
ირგვლივ უვლიან, შექუმუიან იმ ხეს, რომელზეც  
აასწრო მგზავრმა, გადირჩინა მხეცთაგან თავი.  
ჰოდა, ამგვარად წვანან გარეთ ისინიც იხლა  
და რა წუთშიაც დავტოვებ მე ამ წმინდა ჭალას,  
წამოდგებიან ჯავრიანი გველების მსგავსიდ,  
ააყენებენ კორიანტელს ყოველი მხრიდან,  
წინ გაიგდებენ თავიანთ მსხვერპლს, მისდევენ უკან.

### იფიგენია

არ ძალვიძს, ორესტი, მოუსმინო მეგობრულ სიტყვის?

### ორესტი

ისევ ღმერთების მეგობრისთვის დაზოგე იგი.

### იფიგენია

ისინი შენ გზას გინათებენ იმედის შუქით.

### ორესტი

ორთქლსა და კვამლში ეხედავ მხოლოდ მუნდოვანს, მიმქრალს,  
ჯოჯოხეთისკენ მიმავალი მდინარის ნათელს.

### იფიგენია

ნუთუ ელმქურა გყვიდა მხოლოდ და ერთადერთი?

### ორესტი

მე მარტოოდენ ერთს ვიცნობდი, უფროსი და კი  
ვაღაზე დღრე მიიბარა კეთილმა ბედმა.

რაც მაშინ ასე საზარელი გვეჩენებოდა.

მან ვერ იხილა ჩემი სახლის უბედურება!

ო, ნულარაფერს მეკითხები და ერინიებს

ნუ გაუხდები მოკავშირედ, ნუ მწყებ დეენას,

ფერფლს რომ ჭანტავენ და არა სურთ დაიწვას მშვიდად  
უკანასკნელი ნახშირი იმ საზარელ ხანძრის,

რომელიც ჩემს სახლს, ჯვახს ჩემსას მოედო ერთხელ.

ნუთუ ეს ცეცხლი არ ჩაქრება პლარასოდეს,

განზრახ ჩემს გულს რომ წაუკიდეს და ჯოჯოხეთის

გოგირდის ილით აზავებენ, ნუთუ ჩემს სულში

ენთოს ის უნდა და საშინლიდ მაწამოს, მტანჯოს?

### იფიგენია

მე გადავისვრი მაგ სანძარში ნელსურნელ საქმელს.

დე სიყვარულის წმინდა სუნთქვამ მხურვალე სიცხე

შენი სულისა განაკრილოს საამო ქროლით!

ნუთუ არ ძალვიძს მომისმინო, ძეირფასო ორესტი?

ნუთუ ქვესკნელის სულთა დევნამ დაწრიტა სისხლით,

მთლიად გამოფიტა უბედური ძარღვები შენი?  
იქნებ თილისმამ გააქვავა შენი სახსრები,

ვით ეს გორგონას შესვედრის დროს კაცს მოსდის ხოლმე?  
მაგრამ თუ ეს შენ საკუთარი მშობელის სისხლი  
ჯოჯოხეთისკენ შემზარევი, ყრუ კენესრთ გიხმობს,  
განა შენი და ვერ შეიძლებს, რომ წმინდა ლოცვით  
მოუხმოს ღმერთებს ოლიმპიდან შენს დასახსნელად?

### ორესტი

დიახ, მოუხმობს და კიდევაც დამღუპავს ამით!  
იქნება შენში იმაღება ფურია მხოლოდ?  
მითხარი. ვინ ხარ, ვისმა ხმამაც ასე საშინად  
ასე ულმობლად აღმიშუოთა მწეხარე სული?

### იფიგენია

შენივე გული მოგცემს თეითონ მაგ კითხვის პასუხს:  
ორესტ, ეს მე ვარ! შენს წინა დგას იფიგენია!  
ხომ ხედივ, ისევ ცოცხალი ვარ.

### ორესტი

შენ?

### იფიგენია

ჩემო ძმაო!

### ორესტი

შორს გამეცალე! არ შეეხო კულულებს ჩემსას!  
როგორც კროიზას საქორწინო სამოელიდან,  
ისე ჩემიდან შმაგი ცეცხლი იფეოქებს უცებ.  
დამეხსენ! მსურს, ვით ჰერკულესმა, დავფარო ჩემში  
სიკვდილი ეგრეთ სამარცხინო და ისე მოკვდე.

### იფიგენია

შენ არ მოკვდები! ო, ნეტავი მე მომესმინა  
შენგან გულმშეიდად წარმოთქმული თუნდ ერთი სიტყვა!  
მაშ განმიფანტე მწვავე ეჭვი და განმიმტკიცე  
დიდი ხნის ლოცვით მიღწეული ბეღნიერება.  
თითქოს ჩემს სულში ტრიალებდეს შეუჩერებლად  
წამებისა და სიხარულის ბედითი ჩარხი.  
უნებურ შიშით გაფურბოდი უცხო მამაკაცს,  
მაგრამ აწ ძმისკენ მივისწრაფი სულით და გულით.

### ორესტი

განა ლიეის ტაძარში გართ? ნუთუ შეიპყრო  
დაუცხრომელმა აღტაცებამ ქურუმი ქალი?

### იფიგენია

ო, მომისმინე! შემომხედე, დიდი ხნის შემდეგ  
რა გულახდილი ვიგებები ბეღნიერებას  
და უძირფასეს აღამიანს, ვინც ქეუნად ჩემთვის  
არის ყველაზე საყვარელი და ახლობელი!  
მკერდზე მცენიყრდნობ შენს ძეირფას თავს, დავფარავ კოცნით  
და ამ მკლავებით, რომლებითაც მე უწინ მხოლოდ  
ცელქ ქარს ვხვდებოდი, მოგეხვევი, ჩაგიკრავ გულში!  
ო, მოდი, მოდი, მომციყრდნო! თვით პარნასიდან  
ესოდენ ლალად არ გადომსჩეულს კამკამა წყარო,  
ოქროს კალისკენ დაშვებული კლდეებზე ხტომით,  
ვით სიხარული, ჩემი გულით აღმოხეთქილი,  
ჩემს ირგვლივ ახლა ნეტარების ზღვად რომ ქცეულა.  
ო, ორესტ, ორესტ! ჩემო ძმა!

### ორესტი

ლაპაზო ნიმუა,

არ გერწმუნები არც შენ და არც შენს მაცუტრ ალერს.  
წმინდა დიანა მხედვალთაგან სიმეცრეს ითხოეს  
და სასტიკად სჯის, წმინდა ტაძარს ვინც შეურაცხოფს.  
ნუ შეეხები გულმეტრდს ჩემსას მაგ ნაზი ხელით!  
და თუ გსურს მაინც, რომ ყრმა ვინმე მოულოდნელი  
ბეღნიერებით, სიყვარულით დაჯილდოვო,  
მაშინ მააპყაზ შენი მზერა მეგობარს ჩემსას,  
ლირსეულ გაფკაცს. ის ჩენეს ახლოს კლდოვან ბილიკზე  
დახეტიალობს; წადი, წადი, მოძებნე იგი  
და გზა უჩვენე, მე დამებსენ, დამტოვე მარტო.

### იფიგენია

გონს მოდი, ძმაო, იცან შენი დაკარგული და.  
წმინდათა წმინდა მის სიხარულს ნუ ჰყილავ ასე  
და ნუ უწოდებ დამნაშვეეს, ხორციელ ვნებას.

გადაეცალე, უგნურებავ, მის დაესილ თვალებს,  
რომ ჩვენ ამ წამა უდიდესი სიხარულისამ  
არ მოგვაყენოს აღ სამშაგი უბედურება.  
მე შენი და ვარ, დაკარგული დიდი ხნის წინათ,  
საკურთხევლიდან გამიტაცა წმინდა დიანამ,  
გადამარჩინა, მომიყენა თვის ტაძარში.  
ტყვედ ჩავარდნილხარ, განწირულარ სიკედილის მსხვერპლად  
და აი, პპოვე ქურუმ ჭალში და საკუთარი.

### ორეს ტი

ო, უბედურო! და მაშ მზემ იხილოს თვალით  
ჩვენი ოჯახის ეს სირცხვილიც უკანასკნელი.  
რატომ ელექტრაც აე არ არის, რომ ჩვენთან ერთად  
ახლავ იგიც დაიღუპოს და უფრო მძიე  
ტანჯვისთვის აღარ გააგრძელოს სიცოცხლე თვისი!  
კარგი, ქურუმი! წამოგყები საკურთხევლის, ენ —  
ჩვენს გვარს ხომ მუდამ წესადა აქვს ძმათა მკვლელობა;  
გმილობთ, ლმერთებო, რომ ისურვეთ უშემკვიდრეოს  
ასე უძროდ გადაგებულს მომიღოთ ბოლო.  
ნუ ვხიბლავს, დაო, ამ მზისა და ვარსკვლავთა ცერა,  
წარმ, ქვესკნელის სამეცნიში ჩამომყევ ახლავ!  
ვით ჯოჯონხეთის ურჩხულები, გოგირდის ბულით  
წარმოშობილნი, თვითანთ მსგავსებსვე ნოქავენ,  
ასე თვის თავს ანაფურებს იქ ჩვენი მოდგმა.  
ეკრე უშვილო და უმანქო ჩამოდი შენ იქ!  
მითხარ, ეგეთი სიბრალულით რატომ მიცერი?  
მაგგვარი მჩერით კლიტემნესტრაც ცდილობდა თავის  
შეილის გულისქნენ გზის გაკლევას, მაგრამ ამაოდ;  
ბასრი ხანჯალი შვილმა მისმა იშიშვლა უცებ  
და ჩასკა მერდში!.. წამოდექი, მრისხანე სულო!  
აე მოდით, მოდით, ფურიებო, გარს შემომერტყოთ,  
უკანასკნელი საშინელი სანახაობით,  
რომელიც თქვენვე მოამზადეთ, დაიტქეთ მზერა.  
სიძლვილსა და დაუცხრომელ შურისძიებას  
არ აღუმართავთ ჩემხე ახლა ხანჯალი ბასრი,  
საყვარელი და აღასრულებს სახარელ საჭმეს,

რადგანაც ამას აიძულებს მოვალეობა.  
ნუ აფრქვევ ცრემლებს, არ მიგიძლვის ამაში ბრალი.  
ჯერ მე არავინ მყარებია ევროდნ ძლიერ,  
რაც თავი მახსოვეს, თვით პირველი ბავშვობიდანვე,  
როგორც ახლა შენ შემიყვარდი, ძეირფასო დაო!  
მაშ ნული მხოგავ, სწრაფად დამკარ მახვილი შენი,  
გამიძე გული, გზა მიეცი მდუღარე ნაკადს,  
რომელიც ასე დაუმცხრალი ბობოქრობს ჩემში.  
(გრძნობაშიხდილი ძირს დაეცემა.)

### იფიგენია

მარტოს არ ძალის ავიტანო ეს სიხარული  
და მწუხარება.—ნეტავ ხად ხარ, პილადე, ახლა?—  
ძეირფასო ყრმაო, მოდი ჩემთან, მიშველე რამე!

(გადის მის საძებნელად.)

### მეორე გამოცვლა

ორეს ტი (გონის მოვა და წამოდგება)

ამიგსე თასი ერთხელ კიდევ მღინარე ლეთის  
გამგრილებელ წყლით, დავიოკო წყურვილი მწველი!  
უცებ გაპერება ამ მეტადიდან სიცოცხლის თრთოლა,  
მინებებული დავიწყების უწყალო ტალებს.  
მშვიდად გამოსწევს ჩემი სული მაშინვე თქვენსკენ,  
მარადი ნისლის სამეცნიში, გარდაცვლილთ ჩრდილნ.  
დე თქვენთან პპოვოს სასურველი სავანე მყურიო  
შეჩვენებულმა, განდევნილმა ამ ქვეუნის შვილმა.  
ეს რა შრიალი, რა ჩურჩული ისმის რტოებში,  
ეს რა ხმაურობს წყედიადიდან? აი, ისინი  
უკე მოდიან სანახავად ახალი სტუმრის;  
რარიგ დიდებულ ლხინს მოუცავს კრებული მათი?  
თითქოს ზემია გაემართოს ხელმწიფის ოჯახს!  
მშეიდად მოდიან ლრმდ: მოხუცი და ახალგაზრდა,  
კაცი და ქალი, სუველანი ლმერთების მსგავსნა  
და ერთმანეთსაც ძლიერ ჰგვანან. დიახ, ისინი  
ყველანი ჩემი წინაპრები არიან. თიესტე

მოსდევს ატრეი, საუბარი გაუბამს შასთან,  
 ხოლო ბიქები მათ მახლობლად ცელქობენ, ხტიან.  
 ნუთუ გათავდა ძველისძველი თქვენს შორის მტრობა  
 და მზის შუქვით ჩაპრა თქვენი შურისძიებაც?  
 რაյი ასეა, მემიძლია შეც მოგესალმოთ  
 და თქვენს დიდებულ სახეიმო სელის შევუერთდე.  
 მობრძანდით, ჩემო წინაპრებო! მოგესალმებათ  
 შთამომავალი თქვენი გვარის უკანასკნელი.  
 რაც თქვენ დასაუსეთ, მან მოიმკო ნიკოფი მისი:  
 ძირს ჩამოვიდა იგი წყვილი დამძიმებული.  
 მაგრამ მსუბუქი ყოფილა აქ ყოველი ტვირთი.  
 ო, მაშ მიიღეთ, მაშ მიიღეთ თქვენს წოეში იგი!—  
 ატრეი, მე შენ დიდ პატივს გცემ და შენცა, თიესტ,—  
 ძველი მტრობისგან ვართ აქ ყველა თავისუფალი.—  
 მიჩვენეთ მამა, ვინც მე მხოლოდ ერთხელ მინახავს  
 ჩემს სიკოცხლეში!— მამაჩემო, ნუთუ ეს შენ ხარ?  
 და დედაჩემი ხელგაყრილი ხეირნობს შენთან?  
 თუ კლიტემნესტრას შეუძლია შენს გვერდით ყოფნა,  
 მაშინ ორესტიც გაპბედავს, რომ მივიდეს მასთან  
 და ასე უთხრას: „შემომხედე, ვარ შენი შეილი!  
 შეხედე შენს შეილს, მოეუერე, მოეალერსე!“  
 ქვეყნად ჩვენს ოჯახს წესად ქქონდა სალამი მკვლელის  
 და, როგორცა ჩინს, გმირთა გმირი ტანტალის მოდგმა  
 ტებება უზომო სიხარულით წყვდიდადში მხოლოდ.  
 „კარგი, კეთილი!“ — შემომძახებთ, მიმიწვევთ ი ქვენთან.  
 ო, წარმადგინეთ უხუცესთან, ჩემს წინაპართან!  
 სად არის ნეტავ? მსურს ახლვე ვიხილო თვალით  
 იგი, ვინც ესდენ ლირსეული, პატივცემული,  
 ლმერთებთან ერთად სამსჯავროში დიდ საქმეთ სჯიდა.  
 რაო? აყოვნებთ? მომარიდეთ სუყველამ სახე?  
 ეს რასა ნიშნავს? ეწამება ლმერთების მსგავსი?  
 ვაგლახმე მაშინ, ჩინს, ქვესქნელის ძალებმა უკვი  
 რეინის ჯაჭვებით მიაჭედეს ჯოჯოხეთური  
 ტანჯვა-წამება მის გმირულ მკერდს სამარადისოდ.

მისამ გამოსვლა  
 ორესტი. იფიგენია. პილადე.  
 ორესტი

თქვენც ჩამოხვედით გარდაცვლითა სასუფეველში?  
 სალამი, დაო! ელექტრა კი ჯერ არ მოსულა!  
 კეთილო ლმერთო, გვედრები, უწყინის ისრით  
 დაქოდე იგიც, გამოგზავნე სასწრაფოდ ჩვენთან.  
 შენ მენანები, მეგობარო, მარტო შენ მხოლოდ!  
 წამო, წამომყევ, გამოვცხადდეთ პლუტონის ტახტიან  
 და, ვით სტუმრები, მივესალ მოთ ნასპინძელს ჩვენსას.

#### იფიგენია

ძვირფასო და-ძმია, თქვენი ვრცელი, უსაზღვრო ციდან  
 დღითა და ღამით რომ გვეგზავნიო დიდებულ ნათელს  
 და გარდაცვლილთ კი არასოდეს არ ეჩენებით,  
 ისენით და-ძმა საშინელი განსაცდელისგან!  
 წმინდა დიანა, შენც ხომ გიყვარს ძმა საკუთარი  
 ცისა და ქვეყნის არსებებზე, ყველაზე მეტად  
 და ქალწულებრივ სახეს შენსას მრავყრობ ხოლმე  
 მის მარადიულ მოციმციმე. ლოთიებრივ ნათელს.  
 ამას გთხოვ მხოლოდ, ნუ გასწირავ სიგიფის ძსხვერპლად  
 ჩემს ერთადეტრთ ძმას, ასე გვიან რომელიც ვპოვე.  
 თუკი ზეგარდმო ნებას შენსას, მე რომ აქ მმაღავს,  
 განზრახული აქეს, ჩემს განდევნას მოულოს ბოლო  
 და ერთმანეთის მეოხებით ორივე გვიძსნას,  
 ახსენი წყველი უმძრმესი საბრალო ორესტს,  
 რომ გადარჩენის ძვირფასი დრო არ განგვიქარდეს.

#### პილადე

ნუთუ ვერა გვცნობ, ველარა სცნობ ამ წმინდა ჰალის  
 და მზეს, რომელიც არ უნაოებს გარდაცვლილთ სულებს?  
 ნუთუ ველარ ვრძნობ შენი დის და მეგობრის ამბორს,  
 მათ შტკიც მკლავებს, მით წოხვენის სიკოცხლით გამთბარს?  
 გადაგვეხვიყ შენც ძხურვილედ! არა ვართ ჩრდილნი.  
 მისმინე, ძმაო, რასაც გეტყვი, მხნეობა გმირთებს!  
 ყოველი წამი ძვირფასია, შინ დაბრუნება  
 ჩემი ჰყიდიბ ახლა მხოლოდ იქ წმინდა ძაფზე,  
 რომელსაც ართივს, როგორცა ჩინს, მოწყოლე ბედი.

ორესტი (იფიგენიას)

და პირველიდ შენს შკლავებში შევიგრძნო ახლა,  
ძვირფასო დაო, სიხარული ნათელი, წმინდა!  
უკედაქნო ლმერთნო, პირქუშ ლრუბლებს ფრთოვანი ისრით  
აქეთ იქით რომ მიმოქმანტავთ სახეტიალოდ  
და ეგრეთ დიდ ნის ნანატრ წვიმას კექა ქეჩილით,  
ქარიშხლის სტვენით შმაგ ლვარებად, ნაკადულებად  
დედამიწაზე ერთობ უხვად გაღმოლერით ხოლმე,  
მაგრამ მაშინვე კაცის შიშა და გაოცემას  
მადლიერებით, სიხარულით აღსავსე ხოტბად,  
ზეცად ალვლენილ გულშრუელ ლოცვა-ვედრებად აქცევთ,  
როს გაცოცხლებულ ხის ფოთლებზე დამდგარ წვეთებში  
აირეკლება მზე ათასგან, დაიწყებს ციმციძს,  
და თვით ირიდა, კრელფრთიანი ქალმერთი, ნაზი,  
მსუბუქი ხელით მიმოფანტავს დარჩენილ ლრუბლებს,—  
ნება მიბოძეთ, რომ ჩემი დის მხურვალ მკლევებმი,  
ჩემი მეგობრის ძვირფას მკერდზე მეც დავტებე ახლა  
განუზომელი ნეტარებით, შევინაოჩუნო  
სიკეთე ესე, შემოგწიროთ მადლობა დადი.

უკვე მეხსნება მკაცრი წყევლა, გრძნობს ჩემი გული.  
ევმენიდები ჯოჯოხეაში ჩიეშენენ უკვე,  
გაიჯახნეს, მერმის შორით, კიმკარი რკინის,  
გამაცოცხლებელ სურნელს აურქევეს კვლავ დედამიწა  
და თვის უსაზღვრო სიკრცეებში მეძახის იგი,  
სიხარულისთვის, დიდ საქმეთა აღსასრულებლად.

პილადე

დრო აღარ იცდის, ძვირფასია ყოველი წამი!  
ქარმა, რომელიც აუზიალებს იალქანს ჩენსას,  
და წაიღოს ოლიმპისკენ ეს სიხარული.  
წავიდეთ! სწრაფი მოქმედება გვჭირდება ახლა.

მიოთხო მოქმედება

პირველი გამოსვლა

იფიგენია (მარტო)

როცა ლმერთები

განიზრახენ მოკვდივის დასჯის,  
განუშადებენ  
გადასასულელს შემაძრწუნებელს  
მწუხარებიდან სიხარულში  
ანდა პირუკუ,—

წამსვე მახლობელ ქალაქიდან  
თუ შორი შხრიდან  
წარუგზიენიან მეგობარსაც,  
მშვედს და გონიერს,  
რომ გაჭირვების ძნელ წუთებში  
დაიხსნას იგი.

ყოვლად ძლიერნო, თქვენ დალოცეთ ჩენი პილადე,  
დააგვირგვინეთ გამარჯვებით განზრახე მისი.  
ის პაზღაზრდის მარჯვენაა ცხარე ბრძოლაში.  
თაბთირის დროს კი ლრმად მოხუცის ნათელი თვალი:  
რადგან წყნარია მისი სული, მუდამ ინახავს  
ნათელ სიმშვიდის დაულევილ სიკეთეს წმინდას,  
და ჩენ, ლტოლევილებს, გვთავაზობს ის თვის სიღრმიდან  
ხსნასა და რჩევას, მომაცილა მან ჩემს ძმას ძალით;  
კელარ ძლებოდა მისი ცეკრით საბრალო თვალი,  
ირ ვუჯეროდი კარზე მომდგარ ბედნიერებას,  
იღარ ვუშვებდი ძმას ხელიდან და ვერ შევნიშნე  
საფრთხე, რომელიც ჩენ სამიერს გვემუქრებოდა.  
ასლა მიდიან განზრახულის აღსასრულებლად

ზღვისკენ, სად გემი, ამ ორი ყრმის თანამგზავრებით,  
 შეფარებული მშვიდ ყურეში, მათ ნიშანს ელის.  
 მათ კეციანური რჩევა მომ უს და დაძარიგ, ს,  
 რა ვუპასუხო შეფეხს, როცა მსხვერპლს მომსხვეს იგი.  
 ვხედავ, როგორც ბაშვს, კვის სწავლება ძჭირდება კიდევ-  
 ვირ შევჩვევივარ ციხერებას, სხეის მოტყუება;  
 ვაი მას, ვისაც სიცრუის თქმა სჭირდება ხოლმე!  
 ვერ აგრძნობინებს ვერასოდეს იგი გულს შევბას,  
 როგორც გულწრფელად წარმოთქმული მართალი სიტყვა.  
 ის ვერასოდეს გაგვამხნევებს, ვერც გვანუგეშებს,  
 მუდამ შიშმია, ვინც სიცრუეს ფარულად სჭედიას,  
 რაღან ტყუილი თვითონ მთქმელსვე აყენებს ზიანს,  
 როგორც ისარი უგუნურთა, ნატყორცნი ცაში,  
 შებრუნებული ღმერთის ხელით უკან რომ მიპქრის  
 და მსროლელს ხვდება. დაემატა ზრუნვაზე ზრუნვა  
 ჩემს საბრალო გულს, მუდამ რომ თრთის და შიში იპყრობს.  
 იქნებ შეიძყრონ ფურიებმა ჩემი ძმა კიდევ,  
 როცა უწმინდურ, უკურთხ მიწას ფეხს დააკარებს?  
 იქნება მეფის გუშაგებმა მიაგნეს მათ კვალა?  
 გარკვევით მესმის, აბჯროსნები მოდიან აქეთ!..  
 არა, თავასის მოციქული ყოფილა თურმე.  
 სული ამებლერა, ჩემმა გულმა უმატა ცემას,  
 როგორ შევხედო სახეში მე იმ ადამიანს,  
 რომელსაც უნდა შევხედე ყალბი, ცბიერი სიტყვით!

### მორი გამოსვლა

იფიგენია, არკადი.

### არკადი

მსხვერპლის შეწირვას ნუ აყოვნებ, ქურუმო ქალო!  
 ხელმწიფე უცდის და ამასვე თხოულობს ხალხიც.

### იფიგენია

ალგასრულებდი მე ჩემს წმინდა მოვალეობას,  
 რომ მოულოდნელ დაბრკოლებას ალსრულებაში  
 არ შეეშალა ჩემთვის ხელი.

### არკადი

ისეთი რაა,  
 მეფის ბრძანების შესრულებას რომ აპრკოლებდეს?

### იფიგენია

შემთხვევა, რაც ჩენს სურეილებს არ ემორჩილება.

### არკადი

მაშ მეც მაუწყე, როც ხელმწიფეს შევატყობინო,  
 რადგან ორივეს მიუსაჯა სიკვდილი მეოუმ.

### იფიგენია

არ მ-უსჯიათ ჯერ თვით ლერთებს სიკვდილი მათთვის.  
 უფროს ტყვე ვაჟეაცს უჩიძიმესი აწამებს ცოდვა  
 საკუთარ ხელით დაქცეული მშობლიურ სისხლის.  
 შურისმგებელი ფურიები მისდევენ კვალზე,  
 დიახ, თვითონ ამ ტაძარშიაც შეიძყრო იგი  
 ბოროტმა სენმა და აქ მოსვლით ადგილი წმინდა  
 მთლად შეურაცხო. ახლა ზღვისენ მივე შურები  
 ჩემი მხევალი ქალწულებით, წმინდა ტალღებში  
 უნდა განვგანონ შებილწული დიანას სახე  
 და ალგასრულო სიღუმლო კურთხევა მისი.

### არკადი

ამ ახალ ამბავს მე სასწრაფოდ ვაკნობებ მეფეს.  
 ნუ შეუღები ალსრულებას მაგ წმინდა წესის,  
 კიდრე არ დაგრთავს მბრძანებელი შენ ამის ნებას.

### იფიგენია

ამ წესს განაგებს მარტოოდენ ქურუმი ქალი.

### არკადი

უნდა იცოდეს ხელმწიფებაც მაგის შესახებ,  
 როგორც შემთხვევა იშეიათი.

### იფიგენია

ამგვარ საქმეში  
 ხელმწიფის რჩევა და ბრძანება ვერაფერს შესცვლის.

არკადი

თავაზისათვის ძლიერთ განგებ ექითხებიან.

იფიგენია

ნუ მოითხოვ მას, რაზეც უნდა უარი გითხრა!

არკადი

შენც ნუ უარპყოფ, რაც კარგი და სასარგებლო.

იფიგენია

მე თანახმა ვარ, თუკი პასუხს არ დააყოვნებ.

არკადი

ამ ცნობით ახლავ გავთრინდები ბანაკისაკენ,  
დაუყოვნებლივ დაგიბრუნებ ხელმწიფის პასუხს.  
შემეძლოს მიინც მიმეტანა სხვაგვარი ცნობა,  
რაც უცებ ბოლოს მოუღებდა ჩენს მღელვარებას.  
მაგრამ შენ ყური არ ათხოვე მეგობრის რჩევას.

იფიგენია

რაც კი შემეძლო, აღვასრულე სიამოვნებით.

არკადი

ჯერ კიდევ ძალგიძს განუცხადო თანხმობა მეფეს.

იფიგენია

ეგ ჩემთვის ახლა არის უკვე შეუძლებელი.

არკადი

შენ შეუძლებლად მიგაჩნია საძნელო საქმე.

იფიგენია

შენ კი შესაძლოდ, რადგან ფუჭი სურვილი გაცდენ.

არკადი

ნუთუ გაპშედავ ყველაფერზე უარის თქმასა?

იფიგენია

ღმერთებს მივანდე ჩემი ბედი უკვე მთლიანად.

არკადი

კაცს კაცის ხელით სთავაზობენ ისინი შველას.

იფიგენია

ქვეყნად განაგებს ყოველივეს სურვილი მათი.

არკადი

მე გეუბნები, შენს ხელთა აწ შენი ბედი.

ჩენი ხელმწიფის განრისხება მხოლოდ და მხოლოდ

ამ არ უცხოელს განუშავდებს საზარელ სიკვდილს.

ჩენი ლაშქარი საშინელი კერპომს ხურების

და სისხლის ხილვას რა ხანია გადაეჩიდა.

დიახ, მრავალი საცოდავი, გზადაბნეული,

ვინც მკაცრმა ბედმა ამ ნაპირზე გადაისროლა,

შეხვდა ამ ქვეყნად კაცურ გულს და მეგობრულ ღიმილს,

რაც შეგიძლია, ნურაცერზე ნუ გვეტევი უარს

და დაამთავრე, რაც დაიწურ დიდი ხნის წინათ.

არსად არ ძალუძას მოწყალებას. გულკეთილობას,

ადამიანის სახით ჩენთვის მოვლენილს ციდან,

ისე სასწრაფოდ, უცებ შეპქმნას სახეფო თვისი,

ვით პირქუშ, ელურ, ახალ ხალხში, ვინაც აღსავსე

ძალით, მხნეობით, ვაჟკეცობით და სიყვარულით,

ცრუ რწმენის მსხევრპლად განწირული, ადამიანურ

ცხოვრების მძიმე ტვირთს ატარებს საქუთარ მხრებით.

იფიგენია

ნუ შეაშფოთებ ჩემს სულს, როცა არ შეგწევს ძალა  
დაიყოლიო და მოსდრიკო სურვილით შენით.

არკადი

ვიღიუ დრო არის, არ დავზოგავ ცდასა და ლონეს  
გაგიმეორო წრფელი რჩევა, კეთილი სიტყვა.

იფიგენია

ამაოდ ცდილობ, მე კი ტკივილთ აღმიძრავ მხოლოდ  
ამიტომ გიჯობს, ნურას მეტყვი, დამეხსენ ახლა!

## არკადი

ტკივილებს შენსას მე ისევ შენს საშველად ვუხმობ,  
რადგან ისინი გაძლევენ შენ მეგობრულ რჩევას.

## იფიგენია

ისინი ძალით იპყრობენ და სწერუვენ ჩემს სულს,  
მაგრამ არ ძალუძა ზიზლის გრძნობა დააცხრონ მასში.

## არკადი

ნუთუ ზიზლისა გრძნობს მშვენიერი, ლაშაზი სული  
და სიძულვილით აჯილდოვებს იმ ქველმოქმედ კაცს,  
ამდენ სიკეთეს რომ სთავაზობს?

## იფიგენია

დაახ, რადგანაც

ის ქველმოქმედი აშ ირჯება შეუუერებლად.  
მას სურს, ხელთ რიგდის, ჩემი წრფელი მაღლობის ნაცვლად.

## არკადი

ვისაც არა სურს თანაგრძნობა, იფი ადვილად  
იპოვის საბაბს, სიტუეცს თავის გასამართლებელს.  
ჭავალ, აქ ნათქვამს დაწვრილებით გადავცემ მეფეს.  
ნეტავ იგრძნობდეს შენი გული, რარიგ კეთილად,  
როგორ სულგრძელად გეპუნობოდა ჩემი ხელმწიფე  
შენი აქ მოსვლის პირველ დღიდან ბოლო წერთამდე.

## შესახმ გამოსვლა

### იფიგენია (მარტო)

შისმა სიტყვებმა უდროო დროს, მოულოდნელად  
დამცა თავზარი, გული მეტადში შემატრიალა.  
როგორც ტალღები, აღიდებულ მდანარეთაგან  
თან-თან გაზრდილი, გადაპტარას უეცრად ხოლმე  
ნაპირზე მდგარი კლდის მწვერვალებს, სწორედ ასევე  
ალმიგსო გული სიხარულის ძლიერმა ტალღამ;  
საკუთარ ხელში მტკიცედ მეპყრა მიუწვდომელი.  
ასე მეგონა, კვლავ დამფარა ნაზმა ღრუბელმა,

ზეალმიტაცა, მომაცილა მწუხარე მიწას,  
და ისევ მიმცა იმ ტკბილ თვლებას, რაიც ქალლმერთა  
წარმომივლინა ერთხელ, როცა სიცდილისაგან  
გადამარჩინა მისმა ხელმა ამგევარი ძილით.

ჩემი ძმა მეტადშე მივიკარი უცნობი ძალით—  
ეუსმენდი მხოლოდ მე იმისი მეგობრის რჩევას,  
მარტოოდენ მათს გადარჩენას ლამობდა სული.  
როგორც მენავე მიისწოდების თვედავიწყებით,  
რომ უდაბური კუნძულის კლდეთ აქციოს ზურგი,  
ასე კხედავდი ჩემს ზურგს უკან ნისლიან თავრიდს.  
მაგრამ ძილისგან არკადის ხმამ გამომატხიზლა  
და მომაგონა, რომ აქ ვტოვებ ადამიანებს.

ორმაგად გახდა საზიზური სიცრუე ჩემთვეის.  
მშვიდად, გამხნევდი, ჩემო სულო! ნუთუ შენ ახლა  
უნდა მიეცე უსარგებლო ეჭვასა და ყოყმანს?  
ეს ყორა ადგილი საშინელი განმარტოების  
უნდა სასწრაფოდ მიატოვო აუცილებლად!  
გემზე მყოფს ისევ დაგარწევენ ტალღები ზღვისა,  
შიშით კი ვერც შენს თავს შეიცნობ და ვერც ქვეყანას.

## ვაოთხე გამოსვლა

### იფიგენია. პილადე.

### პილადე

ნეტავ სად არის, რომ გადაეცე სასიხარულო  
ამბავი ჩენი გადარჩენის! სად არის იგი?

### იფიგენია

აი, აქა ვარ, საესე შიშით და მოლოდინით  
იმ იმედისა, ალსრულებას შენ რომ დამპირდი.

### პილადე

შენი ძმა უკვე განიცერნა. კლდოვან ბილიკზე  
ამ უწმინდური ნაპირისა და მმრალ სილაზე  
მიგაბიჯებდით მხიარული ბასით მშეიდად;  
ვერც კი შენიშნე, წმინდა ჭალა როგორ დავტოვო.  
უფრო და უფრო დიდებულად, თანდათან ნათლად

ბრწყინავდა მისი შუბლის ირგვლივ ახალგაზრდობის  
წარმტაცი ალი, მისნი თვალი ანთებულიყვნენ  
იმედისა და სიმამაცის მგზნებარე ცეცხლით.  
ლხენას, სიხარულს, მისცემოდა მთლად მისი გული,  
რომ ეხსნა თვისი ძეირფასი და და მეგობარი.

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

და გაკურთხოს, ძეირფასო ყრმავ, მაღალმა ზეცაშ  
და მაგ ბაგებს, მაუწყებელთ ქეთილი ამბის,  
არ დასცდენოდეს არასოდეს ჩიგილი, კვნესა.

### პ ი ლ ა დ ე

შე სხვა ამბავიც მოვიტანე. როგორც ხელმწიფე  
ძეირფას ამალით, ჩევნსკენ მოდის ბედნიერება.  
თანამგზავრები ვპოვეთ უკვე, კლდოვან ყურეში  
ისხლნენ მოწყენით და ჩენს მისელას ელოდებოდნენ.  
რა წამს იხილეს მათ შენი ძმა, აღტაცებულნი  
წიმოხტნენ მყისვე და მოსთხოვეს დაბეჯითებით,  
არ გადაედო გამგზავრება საბერძნეთისკენ.  
სუკველამ ნიჩაბს მოუთმენლად მოპყიდა ხელი  
და თვითონ ქარიც, ხმელეთიდან ამდგარი სტენით,  
ყველაფრით ჩანდა, რომ ზღვისაკენ მოისწრაფოდა.  
ნულარ გაყოვნებთ, წამიყვანე წმინდა ტაძრისკენ,  
რომ სათაყვანო ქანდაკებას, ჩენთა სურვილთა  
სანუკვარ მიზანს, მოწიწებით შევახო ხელი.  
მხოლოდ მე გვმარვარ, მარტოს ძალმისს ქალღმერთის სახე  
წავილო ჩემი მტკიცე მხრებით ამ მუხნარიდან;  
რარიგ სიხარულს მაგრძნობინებს ძეირფასი ტვირთი!

(ამ სიტყვებით იგი გაემართება ტაძრისაკენ და ვერც კი შეამჩნევს, რომ  
იფიგენია არ გაჰყება. ბოლოს მოპრუნდება.)

შენ ისევ დეგხარ და ყოფანობ!.. არათერს ამბობ!  
რაღაც შემკრთალი მეჩვენები! რა გემართება?  
ნუთუ ალუდგა წინ ახალი უბედურება  
ჩევნთვის უეცრად მოვლინებულ ბედნიერებას?  
შეატყობინე გონივრული სიტყვები მეფეს,  
რისი თქმაც მისთვის განვიზრახეთ, მოვითათბირეთ?

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

შევატყობინე, მაგრამ მეაცრად გამჭიცხავ ალბათ.  
უხმო საყვედურს შენს სახეხე ვკითხულობ უკვე!  
ხელმწიფის მაცნე მოვიღა და, როგორც მითხარი,  
სუყველაფერი დაწვრილებით გადავეც ისე.

იგი გაოცდა და მომთხოვა, ჯერ მეფისათვის  
ეცნობებინა იშვიათი ამბის შესახებ,  
რათა ამაზე მას თანხმობა მიეღო მეფის.  
და აი, ახლა ველოდები მის დაბრუნებას.

### პ ი ლ ა დ ე

გაგლახ! თავს ისევ დაგვტრიალებს ახალი საფრთხე.  
ნუთუ ვერ შესძელ გესარგებლა ქურუმი ქალის  
წმინდა უფლებით, დაგემალა განზრახვა შენი?

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

მე ამგვარი რამ არასოდეს არ დამიმალავ!

### პ ი ლ ა დ ე

მაშ ჩენც დაგვლუპავ შენ მაგით და საკუთარ თავსაც.  
რატომ წინასწარ არ ვიფიქრე ამ შემთხვევაზე  
და არ გასწივლე, თუ რა ხერხით, რა ცბიერებით  
შეიძლებოდა აცილება ამ მოთხოვნისაც.

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

მე, მე გამკიცხე, აქ მხოლოდ მე მიმიძლვის ბრალი.  
მაგრამ სხვაგვარიდ არ შემეძლო, რომ მოვქცეოდი  
კაცს, ეინცა მთხოვდა გონიერული თავგამოდგებით  
იმას, რაც თვითონ მეც მიმაჩნდა სამართლიანად!

### პ ი ლ ა დ ე

კოველი წუთით ახლოედება საშიშროება,  
მაგრამ გულს მაინც ნუ გავიტეხო, თორემ უჭიეულ  
მოქმედებით და ფაცაფუცით ჩენს თავსვე გავცემთ.  
ხელმწიფის კაცის დაბრუნებას ელოდე მშეიდად  
და მტკიცე დადექ, რაც არ უნდა გაუწყოს იმან,  
რადგან ამგვარი კურთხევის წესს ქურუმი ქალი

განაგებს მხოლოდ, არ შეპუერის ეს საქმე მეფეს.  
 და თუ მოგთხოვა, თვითონ ნახოს ის უცხო კაცი,  
 ვინც შეპურობილი არის მძიმე სიგიურის სენიო,  
 უთხარ, ორივე ტაძარში მყავს ჩაქეტილი-თქო.  
 ამით შენ მოგვცემ ამოსუნთქვის საშუალებას,  
 რომ ამ ველურ ხალხს გავტაცონ ჩენ ძვირფასი განდი—  
 წმინდა დიანას ქანდაკება და მსწრაფლ გავიქმეთ.  
 თვით აპოლონი გვპირდება ჩენ ბეჭნიერებას;  
 სანამ მისდამი შეპირებას აღვასრულებდეთ,  
 მან აღასრულა ღვთაებრივი თავისი სიტყვა.  
 ორესტი უკვე განიკურნა, განთავისუფლდა.  
 დაპბერეთ, ქარნო მოწყალენო, და მასთან ერთად  
 წაგვილეთ ქლდოვან კუნძულისკენ, სად ღმერთი სუფევს!  
 შემდევ მიერნას მიგვიტანეთ, რომ ისევ აღდგეს  
 ქალაქი იგი, რომ ფერტულიდან ჩამქრალი კერის  
 წამოდგნენ ისევ მხიარული მამა-პაპანი  
 და იავარქმნილ მათ ბინებში აენთოს ცუცხლი.  
 უნდა პირველმა შენ უკიო გუნდრუკი იმათ,  
 შენ თვით მიუტან მშობლიურ სახლს სიცოცხლეს, შველის  
 და განკურნებას, როდესაც მის ზღურბლს გადალახავ,  
 სახლს წყევლას ახსნი და შეამყობ თვალმიმზიდველად  
 სიცოცხლის ახალ ყვავილებით ყველა შენიანს.

#### იფიგენია

როცა შენ გისმენ, მეგობარო, როგორც ყვავილი  
 ნათელ მხისაკენ შებრუნდება დახრილი თავით,  
 ასე ბრუნდება ჩემი სული, შენი სიტყვების  
 მხურვალ სხივებით გამსჭვალული, ტებილ იმედისკენ.  
 რარიგ ძეირვასი, საჭიროა მეგობრის რჩევა!  
 ვინაც არ იცნობს ამ სიტყვების ზეციურ ძალას,  
 თავისთვის ჩუმად, უნუგეშოდ ჩაქრება იგი!  
 ნელა მწიფდება, ჩაქეტილი მისივე გულში,  
 ფიქრი, განზრახვა და მეგობრის სიახლოვე კი  
 აღვილს ხდის იმათ მომწიფებას, განვითარებას.

#### პილადე

მშეიდობით! ახლა მეგობრები მსურს დავამშვიდო,  
 მოუთმენელი მლელვარებით რომ მიმელიან.  
 მაგრამ მე მალე დაებრუნდები და კლდის ბუჩქნარში  
 შეფარებული დაუცუდი შენს სარწმუნო ნიშანს.  
 რაზე დაფიქრდი? რად დაეშვა ასე უეცრად  
 შენს ნათელ შუბლზე სევდიანი, მწუხარე ჩრდილი?

#### იფიგენია

გთხოვ, მომიტევო! ვით ღრუბლები მსუბუქტრთიანი  
 გაცურდებიან მზის წინ ხოლმე, სულის წინაშეც  
 ასე მისცურავს მცირე შიში, იოლი ზრუნვა.

#### პილადე

ნუ გეშინია! მაცოურია კავშირი იგი,  
 რაც საიდუმლოდ შექრეს მხოლოდ შიშმა და საფრთხემ.

#### იფიგენია

ძალმიძს ვუწოდო ზრუნვას ჩემსას კეთილშობილი,  
 რადგანაც იგი შთამაგონებს, რომ მეტე თოასს,  
 ვინაც მეორე მამასავით ზრუნავდა ჩემზე,  
 არ ვულალატო, არ გავძარცო მუხანათურად.

#### პილადე

იგი ხომ შენი ძმის მკვლელია, ვისაც შენ სტოვებ.

#### იფიგენია

ეგ ის კაცია, სიკეთე რომ მიუძღვის ჩემზე.

#### პილადე

რის ქმნასაც ასე გვაძულებს საჭიროება,  
 უმაღურობა როდი არის.

#### იფიგენია

ის არის სწორედ,  
 საჭიროება მას ვერ შესცვლის, ამართლებს მხოლოდ.

### პილადე

დიახ, ამართლებს ღმერთებისა და ხალხის თვალში.

### იფიგენია

მაგრამ არ არის ჩემი გული დამშვიდებული.

### პილადე

შეტი სიმყაცრე სიამაყე არის ფარული.

### იფიგენია

ამის შესახებ როდი ვფიქრობ, გული გრძნობს მხოლოდ.

### პილადე

თუ შენს მხარეზე სიმართლეს გრძნობ, თუ უბრალო ხარ,  
უნდა თვითონვე პატივი სცე საკუთარ თავსა.

### იფიგენია

ბედნიერია მარტოოდენ უმწიველო გული.

### პილადე

სწორედ ამგვარად შეინახე ტაძარში თავი;  
თვითონ ცხოვრება გვასწავლის, რომ ზედმეტად მკაცრი  
არ უნდა ვიყოთ სხეათა მიმართ, არც საკუთარ თავს  
უნდა მოვექცეთ ძალზე მკაცრად, ისწავლე ესეც.  
საოცარია კაცთა მოღმა, შექმნილი ქვეყნად,  
ისე საშინალდ აბნეული და ერთმანეთში  
გადახლართული საიდუმლოდ, რომ არვის ძალუბს  
არათუ სხვებთან, არამედ თვის საკუთარ თავთან  
იყოს მართალი, პირდაპირი და გულით წმინდა.  
უფლება არ გვაქვს ჩვენი თავი განვსაჯოთ თვითონ.  
ადამიანის უპირველეს მოვალეობას  
შეადგენს მხოლოდ გზა პპოვოს და იაროს ამ გზით.  
ის იშვიათად თუ აფასებს, რაც უკვე შექმნა,  
და, რასაცა ჰქმნის, სულ არ იცის იმისი ფასი.

### იფიგენია

შეონია, თითქოს დამარწმუნე ყოველივეში.

### პილადე

ეგ არც გვეირდება, როცა არ გვაქვს სხვა არჩევინი.  
მხოლოდ ერთი გზა გადაგვარჩენს ახლა სამიერეს:  
შენს ძმას, თვითონ შენ, შენს მეგობარს, და განა კიდევ  
საკითხავია, ყველა ამ გზით წავალთ თუ არა?

### იფიგენია

დამაცა ცოტა, მოვითიქრო. განა ვინმესთვის  
გადაგიხდია შენ იმგვარი უმაღურობით,  
როცა ყოფილხარ მისგან დიდად დავალებული?

### პილადე

თუ დავიღუპეთ, საყვედური, სასოწარკვეთა,  
იცოდე, შენს გულს დააწვება უმძიმეს ტკირთად.  
ჩანს, ცხოვრებაში დანაკლისი არ განგიცდია,  
რომ ერთ სიტყვასაც, თუნდაც ცბიერს, არ სწირავ მსხვერპლად,  
რათა თავიდან ავიცილოთ უბედურება.

### იფიგენია

ო, რად არ მიძგერს მეც ამ მეტრდში ვაჟაცის გული!  
როს დაისახავს ის რაიმე გაბედულ მიზანს,  
მყის დაღუმდება სხვა ხმათათვის, დაიხშობს სმენას.

### პილადე

ამაოდ არ გსურს, დამეთანხმო. აქ ყოველივეს  
გარდუვალობის რკინის ხელი განაგებს მტკიცედ,  
მისი ნიშანი წარმოადგენს უმაღლეს კანონს,  
რომელს ღმერთებიც მორჩილებენ. უხმოდ მბრძანებლობს  
უცვლელი ბედის და, რომელმაც არ უშეის რჩევა,  
და უნდა ზიდო, რასაც იგი შენ დაგავისრებს:  
უნდა მღუმ-რედ აასრულო ბრძანება მისი.  
სხვა ყოველივე თვითონ იცი. მალევე მოვალ,  
რომ მშვენერი საწინდარი გადარჩენისა  
შენი ხელიდან მივიღო მე აუცილებლად.

## მისუთე გამოსვლა

იფიგენია (მარტო)

უნდა დავთანხმდე, რადგან ჩემს ძმას, ყველა ჩემიანს  
საფრთხეში ვხედავ ჩიცეცნილებს. მაგრამ, ვაგლახშე!  
მე საკუთარი ჩემი ბედი წაშინებს უფრო.  
ნუთუ იმედი მშვენიერი ვერ უნდა ვისხნა,  
საიდუმლოდ რომ ვზრდიდი გულში, შევტრფოდი ასე?  
ნუთუ არასდროს არ დაპქარდავს ეს წყევლა ძალას?  
ნუთუ ვერასდროს ვერ აღდგება ტანტალის მოდგმა  
განახლებული სიცოცხლისთვის? წარმავალია  
ქვეყნად ყოველი, სუყველაფერს აქვს თავის ბოლო!  
ბედნიერება სწრაფად მიპქრის, ახალგაზრდობის  
ვნებებსაც ელის აღსასრული, წყევლას კი არა?  
ასე ვფიქრობდი მე ამაოდ, აქ ჩიცეტილი,  
მოცილებული ჩემი სახლის მწუხარე ილბალს,  
რომ ჩამოვრეცხდი ატრიდთა სახლს სასირცხვო ლაქებს  
ოდესმე ჩემი წმინდა ხელით და წმინდა გულით.  
ეს-ეს არის, რაც ასე სწრაფად, ასე საოცრად  
მძიმე სენისგან გამეცურნა ძმა საყვარელი  
და ასე დიდ ხნის სასურველი გამოჩენდა გემიც  
ჩემი მშობელი ქვეყნისაკენ გასამგზავრებლად,  
რომ გარდუვალმა, ყრუ, ბედითმა საჭიროებამ  
თავისი მაიმე, რყინის ხელით ორმაგი ცოდვა  
თავს მომახვია, დამაკისრა აღსასრულებლად:  
ქვეყნისგან ჩემზე მონდობილი დიანას ხატი  
გავიტაცო და ვულალატო იმ ადამიანს;  
რომელსაც უნდა ვუმაღლოდე სიცოცხლეს ჩემსას.  
პოი, ნეტავი არ შეიჭრეს მწუხარე მკერდში.  
განახლებული სიძულვილი ტიტანთა მიმართ,  
ყოფილ ღმერთების, ოქვენგან ციდან განდევნილების,  
ოლიმპიელნო, სიძულვილი თქვენს მიმართ სწორედ,  
და არ დაფლითოს ნაზი გული ბასრი კლანქებით.  
ო, დამიხსენით მე, საბრალო, გადაარჩინეთ  
თქვენი სურათიც ჩემს მწუხარე გატანჯულ სულში.

ისევ გაისმის ჩემს ყურებში სიმღერა ძეველი ...  
მიხაროდა, რომ დამავიწყდა პანგები მისი ...

სიმღერა პარეთა, ამ სიმღერას მღეროდნენ ზაშინ,  
როცა ტანტალი გადმოსტყორუნეს ოქროს სუფრიდან.  
ისინი მწარეული დასტიროდნენ კეთილ შეგობარს,  
დიდებულ გმირის სიბრალულით იტანჯებოუნენ;  
რისხეით სუნთქავდა მათი მკერდი უამს სიმღერისას  
და შემხარევი იყო თურმე სიმღერა მათი.  
ჩვენს ბავშვებაში გვიმღეროდა მას ძიდა ხოლმე  
მე და ელექტრას; მომაგონდა ის უკვე კარგად.

დე ეშინოდეს ღმერთებისა  
ადამის მოდგმას!  
მოელი ქვეყანა მათ უპყრიათ  
უკვდავი ხელით,  
რაცა სურთ, იმას უშერებიან  
საბრალო მოკვდავს,  
თუნდ შეუნდობენ,  
თუნდ დასჯიან წამებით ძნელით,

მაგრამ ორმაგად უნდა ღმერთებს  
უფრთხოდეს იგი,  
ვინც განადიდეს, აამაღლეს  
(სჯობს დარჩეს უბრად),  
მაღალ კლდეებზე და ღრუბლებზე  
მაგიდის ირგვლივ  
საკარძლები დგას,  
შუაში კი თვით ოქროს სუფრა.

მაგრამ ატყოდება უცებ დავა  
და დავის უმალ  
გადაისცრიან ბნელ უფსკრულში  
ღმერთები სტუმარს  
და შერცხვენლი, გალანძლული,  
მოცული ბნელით,  
ის ზეუისაგან სწორ სამართალს  
ამაოდ ელის.

აარიდებენ მოწყალე თვალს  
ღმერთები, რადგან  
არ უნდათ იცნონ შვილიშვილში  
ნაცნობი სახე  
დიდი წინაპრის, ვინც თდესლაც  
რჩეული მათგან  
თაყვანსა სცემდა მოწიწებით  
მათ დიად სახელს.

ასე მღეროდნენ პარკები და  
მოხუცი, როცა  
გაიგონებდა გულისმომკვლელ  
სიმღერას ამგეარს,  
დაფიქრდებოდა შვილებსა და  
შვილიშვილებზე  
და მისი თავი მწუხარებით  
იწყებდა კანკალს.

### მესუთი მოჯვედება

პირველი გამოსვლა

თოასი. არკადი.

არ კადი

გამოგიტყდები, მბრძანებელო, თვითონ არ ვიცი,  
საით მივმართო ჩემი ეჭვი შეძრწუნებულმა.  
ნეტავ ტყვეებმა მოახერხეს გაქცევა ჩუმად,  
თუ მათ ქურუმი დაეხმარა? ხმები ვრცელდება,  
რომ გემი არის დამალული სადღაც ყურეში,  
ამ ორი ყმისგან მოყვანილი აქ საიდუმლოდ.  
სიგიურ ტყვისა და ეს წმინდა კურთხევის წესი,  
რაც მოიგონეს მსხვერპლშეწირვის შესაყოვნებლად,  
უკვი ორმაგი სიფრთხილისკენ მოგვიწოდებენ.

თოასი

სასწრაფოდ ჩემთან გამოცხადდეს ქურუმი ქალი!  
მთელი ნაპირი ყურადღებით გაჩერიკეთ ახლავ,  
მთა-გორებიდან თეთით ქალლმერთის წმინდა ქალამდე,  
ტაძრის წიაღშა არ შეხვიდეთ, მაგრამ მის ირგვლივ  
ყველგან დარაჯნი დააყენეთ, იყავით ფხიზლად  
და, სადაც პპოვოთ, შეიპყარით ორივე იქვე!

### მეორე გამოსვლა

—თოასი (მარტო)

რა საშინელი მრისხანებით მიშტოთავს გული,  
ჯერ იმის მიმართ, ვინც წმინდანი მეგონა ასე,

მერე ჩემს მიმართ, რომ ვასწავლე ლალატი თვითონ  
თავაზიანი მოჰყრობით და გულკეთილობით.  
მონობას კარგად ეგუება იდამიანი,  
ადვილად სწავლობს მორჩილებას, თავისუფლებას  
როცა მთლიანად წაართმევენ. დიახ, იგი რომ  
შეუბრალებელ ჩემს წინაპრებს ხელთ ჩავარდნოდათ,  
წმინდა დიანას დაეზოგა სიცოცხლე მისი,  
გახარებული იქნებოდა, რომ საკუთარი  
სიცოცხლე იხსნა, მადლობელი თავისი ბედის,  
საკურთხევლის წინ დააქცევდა უცხო სისხლს იგი  
და ჩვენს ძელ იდათს წმინდა ვალად ჩასთვლიდა შაშინ.  
ახლა კი ჩემი მოწყალებით გულს ჩაუსახე  
სურვილი დიდად გაბედული და კადნიერი.  
ამაღდ მსურდა, რომ მე იგი შემერთო ცოლად.  
ის ახლა ფიქრობს სულ სხვა ბედზე, საკუთარ ბედზე.  
პირფერობის გზით დაატყვევა მან ჩემი გული;  
და ახლა, როცა მე წაველი წინააღმდეგი,  
მამინე სცადა სიცოცხისა და ცბიერების  
გზის გამონახვა, ხოლო ჩემი გულკეთილობა  
ჰგონია თავის საკუთრება კანონიერი.

#### მისახვ გამოსვლა

იფიგენია. თოასი.

იფიგენია

შენ მე გიხმივარ! რა გნებავდა ჩემთვის სათქმელად?

თოასი

რა მიზეზია, რომ გადასდე შეწირვა მსხვერპლის?

იფიგენია

მე უკვე არუადს ყველაფერი ნათლად ვუთხარი.

თოასი

მსურს, თვითონ შენგან მოვისწინო ეს ერთხელ კიდევ-

იფიგენია

მოსაფიქრებლად ვადას გარღვევს ქალმერთი, მეფევ.

196

თოასი

ეს ვადა, მგონი, შენთვისაა საჭირო უფრო.

იფიგენია

თუ აღსრულებას სისხლიანი განაჩენისას  
კელავ მტკიცედ ითხოვ. აქ ტყუილად მოსულხარ მაშინ.  
მეფე, რომელიც მოისურვებს ულმობელ საქმეს,  
საკმაოდ ჰპოვებს ხელქვეითებს, რომ წყალობის და  
ჯილდოს გულისთვის წყელა მასთან გაიზიარონ.  
თვითონ მბრძანებელს არ ემჩნევა სისხლის ლაქები,  
პირქუშ ლრუბლებში განიზრახავს ის სიკვდილს ხოლმე  
და მალემსრბოლნი მისნი მყისვე გაფრინდებიან,  
რომ საბრალო თავს დაატეხონ უბედურება.  
თვითონ კი მიქერის ზეცისაკენ უკერბლად, მშვიდად,  
ვით დიდი ღმერთი, მოკვდავთათვის მიუწვდომელი.

თოასი

ქურუმის ბაგე გამოსცემს ამ ველურ სიმღერას.

იფიგენია

შენს წინ დგას მხოლოდ ქალიშვილი აგამემნონის.  
დიდ პატივს სცემდი, მბრძანებელო, უცნობის სიტყვას,  
აწ კი გსურს სწრაფად დაიმონო მეფის ასული?  
არა, გსწავლობდი ბავშვობიდან მე მორჩილებას,  
ჯერ მშობელთადმი, ხოლო შემდეგ ქალმერთისადმი  
და თვით ამგვარი უდრტყინელი მორჩილების ეამს  
მუდამ გერძნობდი, რომ სული მქონდა თავისუფალი.  
მაგრამ მკაცრ სრტყებს, მამაკაცის უხეშ ბრძანებას  
არც იქ და არც აქ მონურად არ ვუხრიდი ქედა.

თოასი

არა ხელმწიფე, შენ გიბრძანებს კანონი ძველი.

იფიგენია

დიდი ხალისით კანონს მაშინ მიემართო ხოლმე.  
როს ჩვენ სურკილთა იარაღად გვჭირდება იგი.

მაგრამ მე ვიცი სხვა კანონი, ამაზე ძველი,  
რგი მე მიხმობს წინ აღიდგე, ხელშეუხები  
არის ყოველი უცხოელი იმ კანონისთვის.

### თოასი

როგორც ჩანს, ძლიერ მოგეწონა ჩვენი ტყვეები,  
რადგანაც, მათი თანაგრძნობით გატაცებულმა,  
გონიერება მთლად დაპკარგე და აღარ გახსოვს,  
რომ არა გვმართებს მბრძანებელთა გაგულისკება.

### იფიგენია

ვიტყვი რამეს თუ გავჩემდები, შენ კარგად იცი,  
რით არის სავსე ჩემი გული, რაზე სწუხს მუდამ.  
ამგვარი ბედის გახსენებით დახშული გულიც  
განიმსჭვალება სიბრალულით, მით უფრო ჩემი!  
მე იმ ტყვეებში, მბრძანებელო, ჩემს თავსა ვხედავ.  
საკურთხევლის წინ ავკანილდი თვითონ მეც შიშით,  
როცა სიკედილი ნაადრევი ზეიმით, ლხენით  
შემომეხვია უმწეო მსხვერპლს. დაცემულს მუხლად.  
უცებ იელვა ბასრმა დანამ, შეუბრალ ბლად  
რომ გაეგმირა ჩემი გული, სიკოცხლით სავსე;  
თითქოს ჩემს სულმი ქარიშხალი შეიკრა მძაფრი,  
თვალთ დამინელდა... მაგრამ მე ხომ გადავრჩი სიკედილს.  
ნუთუ ამგვარი მოწყალება, რასაც ღმირთები  
ჩენ გვანიჭებენ, აწ არ უნდა აღმოვუჩინოთ  
ასეთ უბედურ, მრავალტანჯულ ადამიანებს?  
შენ კარგად მიცნობ, მაგრამ მაინც გსურს მაიძულო.

### თოასი

არა ხელმწიფეს, შენს სამსახურს დაემორჩილე!

### იფიგენია

კმარა! ნუ ამკობ, ნუ ამართლებ ძალმომრეობას,  
რომელსაც ქალის უძლურება ახარებს ასე.  
თავისუფალი ვარ მეც ისე, ვით მამაკაცი.  
აგამემნონის ძე რომ ახლა მდგარიყო შენს წინ

და მოგეთხოვა აღსრულება ულირსი საქმის,  
ხმალს იშიშელებდა, რომ დაეცა ძლიერი მკლავით  
წმინდა უფლება თავის გულის, ღირსება თვისი.  
მე მხოლოდ სიტყვა გამაჩინია და კეთილშობილ  
ქაცს არ შეჰქორის, ქალის სიტყვას პატივი არ სცეს...

### თოასი

შენი ძმის ხმალზე უფრო მეტად ვაფასებ მე მას.

### იფიგენია

ცვალებადია მეჩისმეტად მახვილთა ბედი;  
ყვილა მებრძოლი, გონიერი, უბრალო მტერსაც  
ნამდევილ მტრადა სოვლის და საჭირო ანგარიშს უწევს.  
სუსტი, ულონისაც. ძალადობის წინაშე მღვმელს,  
არ მიატოვებს უშემწეოდ დედა ბუნება;  
იგი ასწავლის ცბიერებას და იმის ცოდნას,  
რომ ზოგჯერ დასთმოს, უკუკუცეს, ხან დაიყოვნოს  
და მოხერხებით აერითოს უკუკუცელ საფრთხეს.  
დიახ, ღირსია მოძალადე ყველაფერ ამის.

### თოასი

მაგრამ სიფრთხილე ამ ოინებს მოულებს ბოლოს.

### იფიგენია

არ საჭიროებს მას არასდროს უმანქო სული.

### თოასი

შენვე გამოგაქვს განაჩენი საკუთარ თავის.

### იფიგენია

ო, რომ ხედავდე, როგორ ებრძეის აწ ჩემი. სული  
მზავარსა ბედსა, როპელიც მის შეპყრობას ლამობს,  
რომ პირველივე მისი დარტყმა მოიგერიოს.  
მაშ უსაჭრელო გამოველი შენთან ბრძოლაში?  
ნუთუ უაბდყოფ თხოვნას ჩემსას, ამ მშვენიერ რტოს,  
რომელიც ხმალზე ძლიერია ასულის ხელში?

მაშ ჩაღა დამრჩა, რით დავიცვა ლირსება გულის?  
ვუხმო დიანას, სასწაული რომ მოახდინოს?  
ამოიშურა ნუთუ ძალა ჩემი სულისა?

### თოასი

ჩანს, ორივე ყრმის ბედი ასე დიდად გაშუოთებს,  
სთქვი, ვინ არიან, ვის იცავ შენ თავგამოდებით?

### იფიგენია

ვფიქრობ... ბერძნები უნდა იყვნენ... ასე მგონია.

### თოასი

შენი მხრის ხალხი? როგორცა ჩანს, მათ განგიახლეს  
ტკბილი ოცნება სამშობლოში დაბრუნებისა.

### იფიგენია (რამდენიმე წნის დუმილის შემდეგ)

მარტო მამაკაცს აქვს უფლება გაუყონარი,  
დიადი საქმის ჩადენისა? მხოლოდ მას ძალუბს,  
თეის გმირულ გულში დაიტიოს. შეუძლებელი?  
რას უწოდებენ დიად საქმეს? რა შთააგონებს  
ათრთოლებულ სუს პოეტისას, ვინც განუწყვეტილად,  
დაულალვად მოვითხობს ჩენ საოცარ ამბავს,  
თუ არ შედეგი საკირველი, გმირული საქმის,  
რაც წამოიშუო გაბეჭულა ადამიანმა?  
მამაცი არის, ვინც შეიკრა მოულოდნელად  
მტრების ბანაქში ბნელი ღამათ სრულიად მარტო  
და თექს დაეცა, როგორც მეზი, მძინარე ლაშქარს,  
ძილსმიუმულთაც. ფხიზლიდ მყოფთაც დაუწყო ულეტა,  
ბოლოს კი მათგან დაძლეული, უკუკეული,  
მტრის ცხენზე მჯდარი გაეშურა ნალავლით უკან?  
ნუთუ ის ერთი არის მხოლოდ ღირსი ქებისა?  
თუ მარტო იგი, ვინც უარჲყო უშიშარი გზა  
და ტყიან მთებში მიკერის ცხენით უცნობ ბილიკზე,  
რომ დაუნდობელ ყაჩალთაგან გასწმინდოს მხარე?  
ჩენ რაღა გვიჩება? არაფერი? ნაზმა არსებამ  
უნდა უარი განაცხადოს თეის ბუნებაზე?  
იყოს ველური ველურებთან, ვით ამორდალი,

200

ნელში აიღოს თქვენი ხმალი თქვენს წინააღმდეგ,  
სისხლის დაქცევით მჩიგრელებზე იძიოს შური?  
ჩემს გულში შუდამ გაბეჭული იმედი ლვივის.  
ვერ ასცილდება ჩემი სული მკაცრ საყველურსა,  
თუ მოვტუულები, თუ განზრახვა არ გამიმართლებს.  
მაგრამ მსურს იგი შენს ფერხთა წინ მე გადმოვშალო.  
როგორც ამბობენ, თუ ნამდვილად სიმართლე გიყვარს,  
გთხოვ, შემეწიო, დიდებულჲყო ჟეშმარიტება,  
ჩემზე მოლებულ მოწყალებით!.. მისმინე, მეფევ!  
აქ სიცრუეა განზრახული შენს შესაცდენად;  
ტყვეებს ამაოდ აძებინებ წმინდა ჭილაში,  
უკვე წავიდნენ მეგობრების მოსანახავედ,  
ერთ-ერთ ყურეში გემზე მყოფი მათ რომ ელიან.  
მათგან უფროსი, რომელიც აქ შეიპყრო სენმა  
და ახლა უკვე განიკურნა, — ორესტი გახლავს,  
ჩემი ლეიდლი ძმა, მეორე კი — თანამზრახველი  
და მეგობარი ორესტისა, პილადე ჰევია.  
ისინი აქეთ წარმოგზავნა თეით აპოლონმა  
კუნძულ დელფიიდან და ორივეს მკაცრად უბრძანა,  
წმინდა დიანას ქანდაგება რომ გაიტაცონ,  
კუნძულ დელფაზე მიუტანონ იგი აპოლონს,  
რის სანაცვლოდაც ჩემს ძმა ორესტის დაიხსნის იგი  
ფურიებისგან, რომელიც მას სდევნიან ყველგან,  
ვით დამნაშავეს, დაქცეველსა დედის სისხლისას.  
ჩენ ორნილა ვართ დაოჩენილნი ტანტალის მოდგმის  
და ორივეს ბედს შენ გაბარებ... გაგვანადგურე,  
თუკი გაპბედავ.

### თოასი

შენ გვონია, ველური სკვითი  
ხმას სიმართლისას შეიწყნარებს, ადამიანურს,  
როს არ უსმენდა მას ბერძენი ატრეი თვითონ?

### იფიგენია

ამ ხმას მოისმენს, მეფევ, ყველა აღამიანი,  
სადაც არ უნდა იყოს იგი დაბადებული,

თუ ქაცთა გულში ჩემის სიცოცხლის ანკარა წყარო.

რას განმიმზადებს, მეფევ, შენი მდუმარე სული?

თუ გსურს დაგულუპო, მე პირველი მოქალი მაშინ!

ახლა გვრძნობ ნათლად, რას ხსნა აღარ არსებობს ჩენთვის,

საშინელ საფრთხეს, რომელშიც ჩავყარე თვითონ

ჩემი ძეირფასი არსებები დაუფიქრებლად.

ვაგლას! ისინი შებორჯილი უნდა ვ' ხილო!

რა ვუთხრა ორესტს, რა სიტყვებით გამოვეთხოვო

ჩემგან დალუპულს? არა, არა, ვეღარასოდეს

ვეღარ შევხედავ ჩემთვის ძვირფას, საყვარელ თვალებს.

### თ თ ა ს ი

მაშ თაღლითებმა გაგახვიეს ასე აღვილად

თავ-თავიანთი სურვილების ცბიერ ბადეში,

განშორებული ასე დიდხანს ხალხს და ქვეყანას,

და შენც დაჲყევი იმათ ნებას?

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

არა, ხელმწიფევ!

მე თვით შემეძლო მოტყუება საკუთარ თავის,

მაგრამ ისინი მართლები და პატიოსნები

არიან, მეფევ. თუ შენ იმათ სხვაგვარებს პპოვებ,

მამინ დასაჯე სიკვდილით და შემრისხე მეცა:

ჩემი ამგვარი უგუნური საქციელისთვის

წამსვე გაძლევნე საშიშ, ქლდოვან კუნძულის პირას,

მაგრამ თუ ის ყრმა საყვარელი იმა არის ჩემი,

დიდ ხნის ნანატრი, სასურველი, — გაგვიშვი მაშინ

და, როგორც მის დას, მასაც შემწე, მფარველი ექმენ.

მამა დაეცა საკუთარი მეუღლის ხელით,

დედა თავისმა შვილმა მოკლა. უკანასკნელი

ხსნა და იმედი ისლა არის ატრეის მოდგმის.

ნება მიბოძე, სუფთა გულით და წმინდა ხელით

ზღვა გადაეცურო, ჩემს სახლს აეხსნა სასტიკი წყევლა.

სიტყვას ნუ გასტეხ, ხელმწიფეო, შენ ხომ აღმითქვი,

რას სამშობლოში დაბრუნების დრო დადგებოდა,

ჩემიანებთან გამიშვებდი: და აპა, დადგა.

წუთუ ხელმწიფე, ვით უბრალო ადამიანი,  
კაცს შეკპირდება თვალთმაქცურად მხოლოდ იმისთვის,  
რათა მთხოვნელი ერთი წუთით ჩამოიცილოს?  
არა, არასდროს არ იალევა ის ისეთ აღაქმის,  
რისი იმედიც არ ექნება, რომ აღასრულოს.  
თვეის ღირსების სიღიადეს მაშინ გრინობს მეფე,  
როდესაც ძალუძს მთხოვნელები ჰყოს ბედნიერი.

### თ თ ა ს ი

ისე, ვით ცეცხლი იმრძვის ხოლო წყლის წინააღმდეგ,  
შხივის, შიშინებს და ცდილობს მტრის განადგურებას,  
ჩემს გულშიც ახლა დაუმცხრალი ბობოქრობს რისხვა,  
შენი სიტყვების წინააღმდეგ ამხელრებული.

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

და გაბრწყინდეს ჩემს წინაშე წყალობა შენი,  
ვით წმინდა ალი სამსხვერპლოსი, დიდების ჰიმნით,  
ბელნიერებით და მადლობით გარემოსილი.

### თ თ ა ს ი

ო ეს ხმა ჩემს გულს რარიგ ხშირად იმორჩილებდა!

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

მომეცი ხელი შერიგების უტყუარ ნიშნად!

### თ თ ა ს ი

ამ მოკლე დროში, ასე უცებ, ძლიერ ბევრს ითხოვ.

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

ქმნა სიკეთისა გადადებას არ საჭიროებს.

### თ თ ა ს ი

არა, პირიქით! ხშირად ხდება, რომ კეთილ საქმეს  
უბედურება, ბოროტება ფეხდაფეხ მოსდევს.

### ი ფ ი გ ე ნ ი ა

ეჭვი სიკეთეს ბოროტებად მიიჩნევს ხოლო.  
დიდხანს ნუ ფიქრობ, ჰქმენი, რასაც გაუწყებს გული.

## მიოთხე გამოსვლა

იგივენი და ორესტი, შეიარაღებული.

**ორესტი** (სცენისაკენ ზურგშექცეული)

მტკიცედ დადექით, აწ ორმაგი მხნეობა გმართებთ,  
რომ შეაჩეროთ თქვენ ისინი მცირე ხნით მაინც;  
არ შეუშინდეთ მტრის სიმრავლეს და გემისაკენ  
მიმავალი გზა დაიცავით, მე და ჩემმა დამ  
გასვლა რომ შევძლოთ. (მფეს ვერ შეამჩნევს, იფიგენიას)

უკიდ გაგვცეს. ნულარ აყოვნებ.  
დრო მცირე დარჩა გაქცევისთვის. წამოდი ჩქარა!  
(შეამჩნევს მეფეს.)

**თოასი** (ხმალზე ხელს წაიკლებს.)

ვერ გადარჩება დაუსჯელად ვერც ერთი კაცი,  
ვინც ხმალს იშიშველებს აქ თვით ჩემი თანადასწრებით.

იფიგენია

მტრობით და სისხლით ნუ შებილწავთ ქალმერთის ბინას!  
ლაშქარს უბრძნეთ, არ გაინძრეს! დაემორჩილეთ  
დასა და ქურუმს!

**ორესტი**

მითხარ, ვინ არის ეგი კაცი, რომ გვემუქრება?

იფიგენია

თაყვანი ეცი მასში მეფეს, იგი მეორე  
მამაა ჩემი! მომიტევე, ძვირფასო ძმაო!  
მაგრამ მიმნდობმა ჩემმა გულმა მას ხელთ გადასცა  
მოლად ჩენი ბედი, გავუშლავნე განზრახვა თქვენი  
და ჩემი სული დავიხსენი ლალატისაგან.

**ორესტი**

გაგვიშვებს იგი სამშობლოში მშვიდობიანად?

იფიგენია

პასუხს მიკრძალავს ეგ შიშველი, მრისხანე ხმალი.

**ორესტი** (ხმალს ჩააგებს.)

მაშ სთქვი! ხომ ხედავ, სიტყვებს შენსას ვემორჩილები.

## მესუთი გამოსვლა

იგივენი. პილადე მალე მის შემდეგ არ კადი;  
ორივენი შიშველი ხმლებით.

პილადე

ნულარ აყოვნებთ! უკანასკნელ ძალ-ლონეს ვიკრებთ;  
ნელ-ნელა ვიხევთ ზღვისკენ, მტრისგან უკუქცულნი.  
ამას რას ვხედავ? საუბარი გაუბაძთ მეფეთ,  
დიდ თაყვანსა ვცემ გვირგვინოსან თავს ხელმწიფისას!

არკადი (მეფეს)

მტრების წინაშე მშვიდად დგეხარ, როგორც ხელმწიფეს  
შეეფერება. მალე დავსჯით ამ თავხედობას.  
უკან იხევენ კადინიერი თანაშირახელნი,  
ზოგნი ამოწყდნენ. მათი გემი უკვე ხელთ ვიგდეთ.  
ერთი გვიბრძანე და მაშინვე ცეცხლს მივცემთ...

თოასი

წალი!

ჩემს ხალხს უბრძანე მშვიდად იყოს; ვიდრე ვსაუბრობთ,  
არვინ გაბედოს, მტერს არვინ არ ახლოს ხელი.  
(არგადი გადის.)

**ორესტი**

მე თანახმა ვარ. მეგობარო, ერთგულო ჩემო,  
წალი, შეკრიბე, ვინც ცოცხალი გადარჩა კიდევ.  
მშვიდად ელოდეთ განჩინებას თვითონ ლმერთების.  
(პილადე გადის.)

## მიმდვერ გამოსვლა

იფიგენია. თოასი. იორესტი.

იფიგენია

ჯერ ლელვისაგან დამიხსენით, ვიდრე საუბარს  
შეუდგებოდეთ; მეტინია გააფორებისა,  
თუ უარსა პყოფ, ხელმწიფეო, ხმას სიმართლისას  
და შენ კი, ძმაო, ვერ დააცხრობ ჭაბუკურ ლელვას.

თოასი

მე დავიოკებ გულისწყრომას, ვით უფროსს პფერობს.  
ერთი მითხარი, მიპასუხე, რითი ამტკიცებ,  
რომ ეს ხარ დიდი ხელმწიფისა, აგამენონის,  
და ამისი ძმა?

ორესტი

აი, მეფევ, მახვილი ჩემი,  
მან ტროს ომში მრავალ მამაცს მოულო ბოლო,  
მამაჩემის მკვლელს აეხსენ იგი და შევევედრე  
ზეციერ ძალებს, სიმამაცე და მძლავრი მკლავი,  
ზედნიერება და დიდება დიდი მეფისა,  
ამასთანავე ღირსეული სიკედილი გმირის  
ეპოძათ ჩემთვის, ვით წყალობა უჩენავსი.  
გამოიყანე მეომარი, კეთილშობილი,  
შენი ლაშქრიდან, სუყველაზე საუკეთესო,  
და მარტოდმარტო საბრძოლველად გავყვები ხმალში.  
ამ ვრცელ მიწაზე, კველგან, სადაც გმირებს ზრდის იგი,  
ამგვარ თხოვნაზე უცხოელს არ ეტყვიან უარს.

თოასი

ასეთ უფლებას მას არ აძლევს ადათი ძველი,  
ჩვენს ქვეყანაში არსებული.

ორესტი

მაშინ დაიწყოს  
ის, ვით ახალი ჩვეულება, ჩემგან და შენგან  
და შემდეგ მთელი ხალხი უკვე მიპაპავს ამას,  
გმირულ მაგალითს მბრძანებლისას კანონად აქციეს.  
ნება მიბოძე, არა ჩვენი თავისუფლების  
გულისთვის მხოლოდ, არამედ მე, ვით უცხოელმა,  
ყველა დევნილი უცხოსათვის აღმიართო ხმალი.  
თუ მე დავეცე, ჩემი ხეედრი გაიზიაროს  
ყველა მათვანმა. მაგრამ ბედმა თუ გამილიმოს,  
წილად მარგუნოს გამარჯვება, ყოველი კაცი,  
ვინც ფეხს შემოსდგამს ამ ნაპირზე, უნდა მიიღოთ  
სტუმართმოყვრული ალერსითა და სიყვარულით  
და არ გაუშვათ სამშობლოში ნუგეშუცემი.

თოასი

არ ჩანხარ, ყრმაო, შენ ულირსი შთამომავალი  
დიდ წინაპართა, რომლებითაც ამაყობ ასე.  
კითილშობილნი და მამაცნი ბევრნი არიან  
ჩემს ამალაში, მაგრამ თვით მე მტრებს ვებრძვი ხოლმე,  
წელთა სიმრიცელის, მოხუცების მიუხედავად,  
და ახლაც მზად ვარ ბედი ვცადო ხმალში შენთანაც.

იფიგენია

არა, არასგზით! ჩემო მეფევ, არვის სჭირდება  
ეს სისხლიანი დარწმუნება! ხმალს უშვით ხელი!  
დათიქრდით ჩემზე, თუ რა ბედი მომელის მაშინ!  
სასტიკი ბრძოლა ვაჟკაცს ადგამს დიდების გვირგვინს:  
თუ ძირს დაეცა, მას ადიდებს სიმღერა ხალხთა.  
მაგრამ ცრემლებს კი, გადმომმქეფარს დაუსრულებლად  
მარტო დარჩენილ, დაქვრიცებულ ცოლის თვალთაგან,  
შთამომავლობა არაფრად სთვლის და სდუმს პოეტიც  
იმ ათასეულ ცრემლით საგსე დღე და ღამეზე,  
როდესაც ობლად დარჩენილი მწუხარე სული,  
შეშინებული, გატანჯული უსაზღვრო სევდით,  
შეწრაფლ განშორებულ თვის მეგობარს ამაռდ უხმობს.  
შეწმუნეთ, ერთმა საზრუნვები შემისყრო წამსევ:  
„ვინმე პირატი ხომ არ არის, — ვფიქრობდი ჩემთვის, —  
სურს მოტყუებით ხელთ ჩამიგდოს, გამყიდოს ტყვედა?“  
დიდხანს ვეშებდი, ვამოწმებდი უტყუარ ნიშნებს  
და ბოლოს გული მთლად დარწმუნდა მათ სიმართლეში.  
ი, ხელმწიფევ, შეხედე მის მარჯვენა ხელზე  
სამ ხალს, სამ გარსკევლაეს, თანდაყოლილს დედის მუცლიდან,  
ნიშნად იმისა, ვით ქურუმმა განმარტა მაშინ,  
რომ ეს მარჯვენა მძიმე საქმეს ალასრულებდა.  
შემდეგ მე უფრო მარწმუნებს ეს ჭრილობა წარბთან.  
შაშინ ორესტი ბაეშევი იყო ძუძუმწოვარი,  
როცა ელექტრას, მეტად ფიცხსა და დაუდევარს,  
იგი ხელიდან ჩაუვარდა მოულოდნელად  
და შუბლი დაქვრა იქავე მდგარ ბრინჯაოს სამფეხს.  
დავურთო კიდევ მე ამ ნიშნებს გასაოცარი

დიდი მსგავსება მამამისთან და ჩემი გულის  
მქონე ცხლ ხასიათთან, ვით ნიშნები სარწმუნო უფრო?

### თოასი

თუნდაც გაჰქანტოს შენმა სიტყვამ ყოველი ეჭვი  
და შევაოკო მრისხანება ჩემი გულისა,  
მაშინაც მხოლოდ ხმალმა უნდა გადასჭრას დავა  
ჩვენს შორის: მე აქ ვერავითარ ზაუს ურა ვხედავ.  
შენ თვითონ ამბობ, რომ ისინი მოვიდნენ ჩვენთან  
წმინდა დიანას ქანდაკების გასატაცებლად.  
როგორ გონია, მე გულგრილად შევხედავ ამას?  
ბერძნი ხშირად შეჰქურებდა შურიან თვალით  
შორი ქვეყნების ველურ ხალხთა განძს და სიმდიდრეს:  
ლამაზ ასულებს, ოქროს საწმისს და განთქმულ ცხენებს,  
მაგრამ ყოველთვის ვერ შეველოდა ხერხი და ძალა,  
ვირ ბრუნდებოდა ის ნადავლით მშვიდობიანად.

### თრესტი

არ უნდა გახდეს ქანდაკება, ძლიერო მეფევ,  
მიზეზი ჩვენი მტრობისა და განხეთქილების!  
მე ახლა მიეხედი იმ შეცდომას, რომელიც ლმერთმა  
გადაგვატარა ჩვენ თვალებზე ლეჩიქის მსგავსად  
და განზრას აქეთ წამომართა ნაბიჯი ჩვენი.  
ვევედრებოდი მას, რომ ვეხსენ ფურიებისგან  
და ეთხოვდი რჩევას, მან პასუხი მომიგო ისე:  
„როს დააბრუნებ საბერძნეთში დას, ვინაც ახლა  
ჩაკიტილია ტაძარში ტყვედ თავრიდის მხარეს,  
ფურიებისგან თავს უშელი, აიხსნი წყველას.“  
ჩვენ იმ ასულში აპოლონის დას, ვგულისხმობდით,  
მან კი თურმე შენ ვგიულისხმა, ძვირფასო დაო!  
მძიმე ჯაჭვები მონობისა დაიმსხრა უკვე:  
შენ შენიანებს დაუბრუნდი, წმინდან, ისევ,  
შენი შეხების მეოხებით წეც განვიკურნე;  
უანასკუნელიდ შენს მკლავებში შემიპყრო სენმა  
ბასრი ბრჭეილებით, შემირყია ტვინი საშინლად,  
მაგრამ გაცურდა, როგორც გველი, ჯოჯოხეთისკვენ.  
შენ დამიბრუნე ნათელ დღეთი განცხომა კვალად.

აშ დიდებული მეტენება ლეთაების რჩევა.  
როგორც ეს წმინდა ქანდაცხა, რომელთან მტკიცედ  
გადაჯაჭვულა ჩვენი დედაქალაქის ბედი,  
მულამ უცვლელი, საიდუმლო განვების ძალით,  
მან შენც, მფარვილი შენი სახლის, ატრიდის ძეთა,  
გადაგარჩინა შერცხვენას და უბედურებას  
შენი ძმისა და ნათესავთა საკუთილდღეოდ;  
როცა მეგონა, რომ თვალუწედენ დედამიწაზე  
მთლად დამექარგა ყოველგვარი იმედი ხსნისა,  
შენ ყველაფერი დამიბრუნე ხელახლა ისევ.  
ძლიერო მეფევ, შეგვირიგდი, დააცხრე რისხეა!  
ხელს ნუ შეუმლი, დაასრულოს მბობლიურ სახლის  
კურთხევის წესი, ცოდვათაგან განწმინდოს იგი,  
მე დამაბრუნოს წმინდა ქერქვეშ და თავის ხელით  
დამადეკა თავზე მბოძანებელთა გვირგვინა ძველი!  
მიუზღე მას ის სიკეთე, რაც მიუაღვის შენზე,  
და მეც დამატებ მახლობელის წმინდა უფლებით!  
ძალმომუობა და სიკრუე — მამაკაცების  
ქება-დიდება, სიამაყე უზენაესი  
უკვე გაწილდა სიმართლით ამ დიად სულისა  
და ეს უმანე, უანგარო, გულწრფელი ნდობა  
დე იყოს ჯილდო კეთილშობილ ვაჟკაცისათვის.

### იფიგენია

გთხოვ, გაიხსენო, ხელმწიფეო, აშ შენი ალთქმა;  
დე ერთგულ, მართალ ბაგეთაგან ნათქვამშა სიტყვამ  
შენც აგათროთოლოს. შემოვეხედე! როდი გექნება  
მსგა, სი შემთხვევა სუყოველთვის, რომ აღასრულო  
ამგვარი საქმე, დიალი და კეთილშობილი!  
უარს ვერ მეტყვი; აღასრულე ეს საქმე მალე!

### თოასი

მაშ წადოთ!

### იფიგენია

არა, ეგრე არა, ჩემო ხელმწიფევ!  
ნუ, ნუ გაგვდევნა! დე ჩვენს შორის ამიერიდან  
141 o. 3. გოეთე

სუფევდეს ტქბილი, მეგობრული სტუმართმოყვრობა.  
 მაშინ ერთურის არ დაუცილდებით ჩვენ სამუდამოდ.  
 შენ ძვირფასი ხარ ჩემთვის, როგორც მშობელი მამა,  
 და არ ჩაქრება არასოდეს ეს გრინობა ჩემში;  
 რომ ვინმე შენმა ქვეშვერდომშა, უკანასკნელმა,  
 თქვენი საუბრის ნაცნობი ხმა მასმინოს კიდევ,  
 თუნდ მათხოვარი იყოს, ოლონდ თქვენსავით ეცვას,  
 მე მას მივიღებ ისე, როგორც ღმერთთა თანასწორს,  
 ლოგინს გავუშლი ამგვარ სტუმარს საკუთარ ხელით,  
 ჩემი ოთახის კერის პირას დაულგამ სკამსა  
 და მხოლოდ შენზე, მხოლოდ შენი ბედის შესახებ,  
 დავუშებ მე მას გამოკითხვას, კეთილო მეფევ-  
 დაე ღმერთებმა ლირსეული მოგიზლონ ჯილდო  
 შენთა კეთილთა საქმეთათვის, ამ წყალობისთვის.  
 მშეიდობით, მეფევ! მოგვაბყარი კეთილი მზერა  
 და გულითადი სიტყვა მითხარ განშორების უამს,  
 მაშინ დაპბერავს ნაზი ქარიც იალქნებს ჩვენსას  
 და ჩემს თვალთაგან დაიფრქვევა ხუგეშის ცრემლი.  
 მშეიდობით, ჩემო ხელმწიფეო, მომეცი ხელი  
 საწინდრად ჩვენი ძველისძველი მეგობრობისა!

თ თ ა ს ი

მშეიდობით!

